# სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი   გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან   სამშაბათი, 5 მაისი   1998 №66 (601)   ფასი 40 თეთრი



გურამ [illegible] ფოტო

გუშინ ავჭალაში: „მერანი“ — „კოლხეთი“.
ნუგზარ მიქაბერიძის ადრეულმა გოლმა კოლხებს მერანთან მოგება დაუბევა

## 26 ტური

**3 მაისი**
სამგურალი 2:0 ლოკომოტივი
რუსთავი 3:0 ოდიში
მარგვეთი 1:0 თსუ
დილა 1:0 სიონი
დინამო 2:0 მაღაროელი

**2 მაისი**
მერანი 1:2 კოლხეთი

**გადაიდო**
ვიტ ჯიორჯია - გურია
ტორპედო - ბათუმი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 25 | 21 | 2 | 2 | 71:12 | 60 |
| კოლხეთი | 26 | 16 | 5 | 5 | 50:20 | 53 |
| ბათუმი | 25 | 15 | 6 | 4 | 53:17 | 51 |
| ტორპედო | 25 | 13 | 8 | 4 | 40:20 | 47 |
| ოდიში | 25 | 13 | 4 | 8 | 35:39 | 43 |
| თსუ | 26 | 11 | 6 | 9 | 32:24 | 39 |
| ლოკომოტივი | 26 | 10 | 7 | 9 | 30:34 | 37 |
| დილა | 26 | 10 | 4 | 12 | 24:29 | 34 |
| მერანი | 26 | 10 | 7 | 9 | 33:32 | 32 |
| რუსთავი | 25 | 8 | 3 | 14 | 25:37 | 27 |
| სამგურალი | 26 | 7 | 6 | 13 | 25:46 | 27 |
| ვიტ ჯორჯია | 25 | 6 | 9 | 10 | 22:30 | 27 |
| სიონი | 26 | 8 | 6 | 12 | 36:35 | 25 |
| გურია | 25 | 4 | 8 | 13 | 24:48 | 20 |
| მაღაროელი | 25 | 4 | 5 | 16 | 20:53 | 17 |
| მარგვეთი | 26 | 2 | 6 | 18 | 18:62 | 12 |

„დინამოს“, „მერანს“ და „სიონს“ დაკლებული აქვთ ხუთ-ხუთი ქულა

# რუსებთან შეხვედრამდე ქართველებმა უკრაინელებს მოუგეს

## გურამ მოდებაძე გვეკითხება: რა იყო ათი წლის წინ იტალია?

ერთ-ერთ წინა „სარბიელში“ გაუწყებდით, საქართველოს მორაგბეთა ნაკრები კვირას კიევში შავი ზღვის თასის შეხვედრას გამართავს უკრაინის ნაკრებთანო. ეს მატჩი ქართველი მორაგბეებისთვის უფრო სავარჯიშო გახლდათ, რადგან ორი კვირის შემდეგ, 20 მაისს, მსოფლიო თასის შესარჩევი შეხვედრა ელით რუსეთის ნაკრებთან. ამიტომაც თქვა ჩვენების მთავარმა მწვრთნელმა გურამ მოდებაძემ უარი ლეგიონერებზე, კიევში ახალგაზრდები იახლა და... ქართველებმა მაინც გაიმარჯვეს — 31:17.



[illegible] ფოტო

გურამ მოდებაძე: ჩვენ რომ ხელშეწყობა გვქონდეს...

— ნორმალური ვარჯიში გამოგვივიდა, უფრო სწორად, ვარჯიში კი არა, კაი ომი იყო, მაგრამ ჩვენთვის მთავარი მაინც 20 მაისის მატჩისთვის მზადება გახლდათ — გვითხრა კიევიდან დაბრუნებულმა გურამ მოდებაძემ — კომბინაციები დავამუშავეთ, ახალგაზრდები გამოვცადეთ. ნამდვილად ძალიან კარგი ბიჭები არიან, პირობები და მოვლა სჭირდებათ ახლა, მეტი არაფერი. ძალიან კორექტული თამაში იყო. არც ჩვენ ვიუხეშეთ, არც მათ, ორივეს უფრო მნიშვნელოვანი მატჩები გველის. ისე, სიმართლე თუ გინდათ, არ არის ძლიერი ნაკრები. მართალია, სამი წამყვანი მოთამაშე არ ჰყავდათ, მაგრამ ჩვენც ხომ გვაკლდა თითქმის ყველა ლეგიონერი. იქაური ჩემპიონატის დონეზე ვერაფერს გეტყვით, არ ვიცი, მაგრამ ნაკრების დონიდან გამომდინარე არც ის უნდა იყოს მაინცდამაინც მაღალი დონისა. მათაც ჩვენსავით ცუდი პირობები აქვთ, მთავრობა არანაირად არ ეხმარება. საერთოდ, შედეგი იმ პირობებზე დამოკიდებული, რა პირობებში იმყოფები და ემზადები. რა იყო იტალია 10 წლის წინ? არაფერი, ვისაც არ ეზარებოდა, ყველა უგებდა. ახლა? ამას ყველაფერს ფული აკეთებს. იტალია — საქართველოს მატჩი საფრანგეთის ტელევიზიამ გადასცა, კომენტატორმა ქების სიტყვები არ დაიშურა ჩვენთვის. კიდევ გიმეორებთ, ჩვენ რომ ხელშეწყობა და ნორმალური პირობები გვქონდეს, გაცილებით მეტს მივაღწევდით...

ახლა ქართველი მორაგბეები რუსების დასახვედრად მზადებას ვაკის სტადიონზე გააგრძელებენ. 20 მაისს გაირკვევა, გავალთ თუ არა მომდევნო ეტაპზე. ქართველთა ნაკრებს ამ მატჩში მოგება სჭირდება, რადგან არსებობს ასეთი თეორიული შანსი: შესაძლოა, ჯგუფში მეორე ადგილზე ხორვატები გავიდნენ, თუ მათ დარჩენილი ორივე თამაში მოუგეს დანიას და იტალიას; ამის შანსი კი არის, რადგან იტალიას პირველი ადგილი განაღდებული აქვს და არავინ იცის, ხორვატიაში რა შემადგენლობით გაემგზავრება და როგორ ითამაშებს.

რაღა დაგვრჩენია, დაველოდოთ 20 მაისს და იმედი ვიქონიოთ, რომ ქართველი მორაგბეებისთვის ყველაფერი სასიკეთოდ დამთავრდება.

**პაატა თოთაძე**

**თბილისი**
**„სინათლე“**
**4 მაისი**

**მერანი 1:2 კოლხეთი**

**მერანი:** ნაჭყეპია, ივანიშვილი (ჩიგოშვილი 46), ე. ალადაშვილი, გოგიტაძე, დავითნიძე, გენაძე, კაპანაძე, აბაზაძე (მაზანაშვილი 51), ა. ხორხელი (დავითაშვილი 58), ინიაშვილი, მესხი
**კოლხეთი:** ქვაჩახია, მიქაბერიძე, ქუტიძე, გიორგაძე, ჩხენკელი (სუხიაშვილი 10, ქუნთელია 81), ლაღანიძე, დ. ნოზაძე, ინალიშვილი, ე. გვასალია, ნივნივაძე (გოროზია 85), მ. ქობულაძე
0:1 მიქაბერიძე (12), 1:1 დავითაშვილი (85პ), 1:2 ქუნთელია (88)
**გაფრთხილება:** კაპანაძე, ინიაშვილი
**გაძევება:** ჩიგოშვილი, კაპანაძე
**მსაჯი:** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

# სად იყო სამართალი?!

**მამუკა კვანტალიანი**

„მერანმა“ წინა ტურში „ბათუმს“ ორი ქულა დააკარგვინა და კოლხებს მეორე ადგილზე გასვლის იმედი გაუორკეცა. ავჭალელებს გუშინ ფოთელთა გამწარებაც შეეძლოთ, რაც „ტორპედოს“ და „ბათუმს“ საქმეებს გაუჩარხავდა, მაგრამ...

სინათლის სტადიონმა მარტო ფოთელებს როდი უმასპინძლა. გუშინ ავჭალაში ფეხბურთის არაერთი სპეციალისტი შეიკრიბა. იყვნენ ფეხბურთის ფედერაციიდან, ინტერესი მწვრთნელ-პრეზიდენტებსაც გაღვიძებოდათ, ამიტომ ტრიბუნაზე ცარიელ ადგილს ვერ იპოვიდით. მატჩის სირთულეზე ყველა ამახვილებდა ყურადღებას. მასპინძლებს სპორტული პრინციპის დარღვევა არ სურდათ, სტუმრებს კი მხოლოდ მოგება აძლევდათ ხელს.

ჯანელიძემ თამაში ერთი თავდამსხმელით დაიწყო. „მერანი“ აშკარად მეტოქის შეცდომაზე თამაშობდა. ფილიამ მასპინძელს ორი თავდამსხმელი, მობილური ნახევარდაცვა და მოიერიშე დაცვის ხაზი დაუპირისპირა. ინალიშვილისა და ნოზაძის გააზრებულმა და შეწყობილმა გარჯამ, რომელთაც ზურგს ლაღანიძე უმაგრებდა, სტუმრებს მოედნის წუაგული დააპყრობინა. მალე კოლხებმა უპირატესობა გოლად აქციეს.

იხილეთ მეორე გვერდი

# არიგო ოცდამეერთე

მადრიდის „ატლეტიკოს“ თავქარიანმა პრეზიდენტმა ხესუს ხილმა ორშაბათს ჟურნალისტებს განუცხადა, რომ გუნდის მთავარი მწვრთნელი რადომირ ანტიჩი სეზონის ბოლოს დატოვებს თანამდებობას. ანტიჩის ადგილს შემოდგომიდან ცნობილი იტალიელი მწვრთნელი არიგო საკი დაიკავებს. მართალია, კონტრაქტის ზოგიერთი პუნქტი ჯერ კიდევ დასაზუსტებელი ყოფილა, მაგრამ ხილი იმედოვნებს, რომ ყველაფერი რიგზე იქნება და საკიც სულ მალე შეუდგება მუშაობას.

შეგახსენებთ, რომ ანტიჩმა „ატლეტიკოში“ მისვლის პირველივე, 1995-96 წლების სეზონში მადრიდელებს ესპანეთის ჩემპიონის ტიტული და თასი მოაგებინა. შემდეგ კი გუნდმა უკლო და ვერანაირ წარმატებას ვერ მიაღწია ვერც შინაურ და ვერც ევროპულ სარბიელზე. ბოლო სეზონის განმავლობაში ხილს გამუდმებული კრიტიკის ქარცეცხლში ჰყავდა მოქცეული სერბი მწვრთნელი. პრეზიდენტს განსაკუთრებით გუნდის გასვლით შეხვედრებში უსუსური თამაში უკლავდა გულს. ლესდლეობით ჩემპიონატის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე „ატლეტიკო“ მე-9 ადგილზეა და უეფას თასის საგზურის მოპოვების მიზერულ შანსს თუ ინარჩუნებს. გასულ კვირას, მორიგი მატჩის დაწყებამდე, ხილმა გააფრთხილა ანტიჩი, რომ თუ მწვრთნელის თანამდებობის შენარჩუნება სურდა, უსიკვდილოდ უნდა მოეგო „მალიორკასთავის“. ეს შეხვედრა მადრიდელებმა 1:2 წააგეს.

ხილის მოთმინების ფიალა კი მაშინ აივსო, როცა 62-ე წუთზე მწვრთნელმა სეზონში 22 გოლის გამტანი იტალიელი ვარსკვლავი კრისტიან ვიერი გაიყვანა მოედნიდან.

ანტიჩმა ფეთქებადი პრეზიდენტის რისხვა ძირითადად იმის გამო დაიმსახურა, რომ სეზონის დასაწყისში 17,5 მილიონ დოლარად შეძენილი ვიერისა და სხვა ძლიერი ფეხბურთელების დიდი შესაძლებლობის ჯეროვნად გამოყენება ვერ შეძლო.

— ანტიჩის გუნდში მისვლის პირველ წელს ფეხბურთელების შეძენაში 7,25 მილიონი დოლარი დავხარჯეთ და მან დუბლი მოიგო. მომდევნო სეზონში 7,9 მილიონი დაიხარჯა, მაგრამ ჩემპიონთა ლიგაში წარმატებას ვერ მივაღწიეთ, ხოლო წელს, როცა უძლიერესი ფეხბურთელების შეძენა 52,7 მილიონი დოლარი დაგვიჯდა, თავად ხედავთ, რა სავალალო დღეში აღმოვჩნდით — თქვა ხილმა და იქვე დაამატა — თუმცა, იმედი მაქვს, იგი გულში წყენას არ ჩაიდებს და კვლავ მეგობრებად დავრჩებით. ცხოვრებაში ყველაფერი ხდება და არა მგონია, ეს უახლოესი ადამიანების დაკარგვად ღირდეს.

საგულისხმოა, რომ რადომირ ანტიჩის მიერ „ატლეტიკოში“ გატარებული სამი სეზონი სარეკორდო მაჩვენებელია იმ ოც მწვრთნელს შორის, რომლებიც 1987 წლის შემდეგ ხილის პრეზიდენტობის პერიოდში მისულან გუნდის სათავეში.

არიგო საკი რიგით 21-ე შეიქნა მწვრთნელების ამ გრძელ სიაში. იტალიელის დამსახურებების ჩამოთვლისას მისი სამწვრთნელო კარიერიდან მხოლოდ ორი მომენტის გახსენება იკმარებს. 80-იანი წლების ბოლოს საკი ლეგენდარული „მილანის“ მწვრთნელი იყო და ყველა ჯილდო მოიგო, რისი მოგებაც შეიძლებოდა. 1994 წელს კი მისი თაოსნობით „სკუადრა აძურამ“ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ითამაშა.

# შორი გზიდან ოქროს ველით

7-10 მაისს სლოვაკეთის დედაქალაქ ბრატისლავაში დაიწყება თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატი, რომელიც 50-მდე ქვეყნის ფალავნებს შეკრებს. საქართველოს ნაკრები მთავარი მწვრთნელის ზაზა თურმანიძის ხელმძღვანელობით გუშინ ადრიან დილით გაემგზავრა ბრატისლავას ასეთი შემადგენლობით: გოჩა კირკიტაძე (54 კგ. ქუთაისი), დავით პოლოსიანი (58, გორი), გოდერძი ხარებავა (63, სოხუმი), ემზარ ბედინეიშვილი (69, თბილისი), ალექსანდრე კახნიაშვილი (76, მცხეთა), ნიკო ბეგაშვილი (85, თბილისი), ელდარ კურტანიძე (97, სოხუმი), ალექსანდრე მოდებაძე (მძიმე, თბილისი).

ჭიდაობის ფედერაციის გენერალური მდივნის ომზარ შოშიტაიშვილის თქმით, კარგი შანსი გვაქვს, გავიმეოროთ ევროპის შარშანდელ ჩემპიონატზე მიღწეული შედეგები. შეგახსენებთ, რომ შარშან დავით პოლოსიანი და ელდარ კურტანიძე უძლიერესნი იყვნენ კონტინენტზე.

**ამხანაგური მატჩი**

**საუდეთი 0:0 იამაიკა**

საუდეთი: ელ დეაია, შელეიაპი (დოუკი 74), სულაიმან, ალ ხელაივი (ჯამელი 61), აბდულ გპანი, ხამის ოვაირანი, ალ ტემავი (სალეპი 55), ალ ჯაბერი (ალ დოსარი 74), მ'სადი, სოვაიედი, საედ ალ ოვაირანი
იამიკა: ლოურენსი, მალკომი (სეუელი 72), დიქსონი, ბრაუნი (დეივსი 76), გუდისონი, გარდნერი, ქარგილი (უაუ 77), სიმპსონი, უაიტმორი, უილიამსი, ბარტონი (პოლი)

**ინგლისი**

**მანჩესტერი 3:0 ლიდსი**
1:0 გიგზი (6), 2:0 ირვინი (32პ), 3:0 ბექჰემი (60)

**მსოფლიოს ჩემპიონატი ჰოკეიში**

B ჯგუფი. რუსეთი — ლატვია 7:5
C ჯგუფი. საფრანგეთი — აშშ 3:1; შვედეთი — შვეიცარია 4:2
D ჯგუფი. ფინეთი — ყაზახეთი 4:0

# სად იყო სამართალი?!

დასაწყისი პირველ გვერდზე

ინალიშვილმა მასპინძელთა საჯარიმოსკენ ბრძოლით გაიკვლია გზა და ბურთი გვერდით ნოზაძეს მიაწოდა, რომელმაც ერთი შეხებით ხელსაყრელ პოზიციაში მდგარი მიქაბერიძე მოძებნა. ტურამ დაცვას უყურადღებობა არ აპატია. მის შესახვედრად გამზადებულ ნაჭყეპიას ბურთი თავზე გადაატარა და ოსტატური გოლიც გაიტანა.

„კოლხეთს" მანამდეც შეეძლო დაწინაურება, მაგრამ ღლანიძის პასი წივწივაძემ ვერ შეიშნოვა და მეკარის წინ ეულად დარჩენილმა ბურთი ნაჭყეპიას მიუგორა.

ორივე გუნდი ჯარიმის ზღვარზე ათამაშდა. კვარაცხელიას სასტვენს ლამის რის ჩაწოდების უფლებაც მოიპოვეს. პირველად მცველებმა ბურთის საჯარიმოდან გამოტანა კი მოახერხეს, მაგრამ საჯარიმოსთან მყოფმა მიქაბერიძემ მარჯვნივ ეულად მდგომი ქუნთელია შენიშნა. გოგიტას პასიც დროზე მოუვიდა და ბურთი შორეულ კუთხეში შეაგდო.

სტუმრები ერთმანეთს გადაეხვივნენ, მასპინძლები კი გვერდით მსაჯისკენ გაქანდნენ. „მერანი" თამაშგარის დაფიქსირებას ითხოვდა. აყალმაყალში ვიღაც შაოსანი კედლიდან გადმოხტა და თანამსაჯს ჩაარტყა. სიტუაცია დაიძაბა, მაგრამ ნუგზარ წივწივაძისა და ჯონი ჯანელიძის ძალისხმევით თითქოს დამშვიდნენ და მეტიც აღარაფერი უნდა მომხდარიყო, მაგრამ წუთის შემდეგ უკე ჩიგოშვილს არ მოეწონა მეორე გვერდი-



ხალხის დაშოშმინებამდე მსაჯებს მინდორზე მოუწიათ ყურყუტი

ბოლი გაუვიდა. ხისტ თამაშში კი კოლხები დაზარალდნენ. ჩხენკელი მეათე წუთზე გამოსაცვლელი შეიქნა, რომელსაც 25 წუთში წივწივაძეც მიყვა. პირველმა მუხლი დაიზიანა, მეორემ — კოჭი.

ტაიმის ბოლომდე სტუმრებს კიდევ ერთხელ შეეძლოთ, ეხეირათ, მაგრამ მეკარესთან პირისპირ გასულმა სუხიაშვილმა ნაჭყეპიას ვერ აჯობა. მასპინძლებმა ქვაჩახიას შეფუცხუნება მხოლოდ ერთხელ შეძლეს. ეს მაშინ, როცა ივანიშვილის ჩაწოდებულს მესხმა თავური დაჰკრა. მეკარემ ბურთი ჯერ მოიგერია, განმეორებითი ნახტომით კი საბოლოოდ დაისაკუთრა.

მეორე ტაიმის დასაწყისიც კოლხებისა იყო. ამას ჯანელიძეც უმალ მიხვდა და მინდორზე ერთიმეორის მიყოლებით შეუშვა წინა ხაზის ფეხბურთელები — სამი თავდამსხმელი, ოთხი ნახევარმცველი და სამი მცველი. „მერანმა" შეტევებს უხშირა და მალევე დიდ უპირატესობასაც მიაღწია. ჯერ მაზანაშვილმა დაარტყა თავით სახიფათოდ. მერე აბრეზას ცოტა დააკლდა გასატანად. „კოლხეთი" გოლს სასწაულებრივ გადაურჩა. გეწაძეს კი ქვაჩახიამ მოუსპო შანსი. მეკარემ თავგანწირვით ითამაშა. კოლხები აშკარად ანგარიშის შესანარჩუნებლად ილვწოდნენ და ამისთვის დაისაჯნენ კიდეც. ერთიც იყო, სტუმართა ვეტერანებს დაღლა დაეტყოთ, ამიტომ შუა ხაზს სიჩაუქე მოაკლდა.

„მერანმა" ანგარიში პენალტიდან გაქვითა, რომელიც სტუმართა დაცვამ და მეკარემ უფრო გამოიგონეს. გიორგაძემ დავითაშვილს დაასწრო და ბურთი ქვაჩახიას დაუგორა. ზურამ დაბრუნებული საკადრისად ვერ მოიგერია. ბურთი ფეხზე აეჭრა. დავითაშვილმა მაზანაშვილს დაუგდო თავით, მან კი კარის გასწვრივ ჩააწოდა, ბურთი ქობულაძეს მოხვდა ხელზე და კვრაცხელიამაც ჩასტვინა. ქვაჩახიამ დავითაშვილს კუთხე კი გამოუცნო, მაგრამ ბურთს ვერ შესწვდა.

თამაშის დამთავრებამდე ხუთი წუთი რჩებოდა. ფოთელები, თითქოს განწირულები, შეტევაზე წავიდნენ და კუთხუთის გადაწყვეტილება. მსაჯს მიეჭრა და ხელები სახეში ჩაავლო. კვარაცხელიამ კოლეგის შეურაცხმყოფელი წითელი ბარათით დაასაჩუქრა. ჩიგოშვილი მინდვრიდან გაიყვანეს. მალე მისი ბედი კაპანაძემაც გაიზიარა. მსაჯმა იგი უხეშობისთვის მეორე ყვითელი ბარათით დასაჯა, რასაც წითელიც მიაყოლა.

წუთის შემდეგ თამაშიც დამთავრდა. მაყურებელი მოედნის გასასვლელთან შეგროვდა. ესენი მსაჯების გაპანღურებას აპირებდნენ, მაგრამ „მერანის" ხელმძღვანელებმა პოლიციის დახმარებით არბიტრები გასახდელში შეიყვანეს, თუმცა გზად მეოთხე მსაჯს თავში ქვა მოხვდა. ამის მერე ინციდენტი არ გამწვავებულა. ხალხიც ნელ-ნელა დაიშალა.

დავუბრუნდეთ მსაჯების თემას. მათ ტენდენციურად არ უმსაჯიათ. პირიქით, ზოგიერთ რთულ მომენტში მეტად საჭირო პრინციპულობაც გამოიჩინეს. უბრალოდ, ზოგიერთი მასპინძელი პირველი წუთიდანვე ცდილობდა, კვარაცხელიას შეკამათებოდა. ყველა მის გადაწყვეტილებას ასაჩივრებდა.

რაც შეეხება სტუმართა მეორე გოლს, დანამდვილებით რამის მტკიცებას ვერავინ შეძლებს. ყველაფერი მაშინ გაირკვევა, როცა მატჩის ჩანაწერს შესაბამისი კომისია გაარჩევს. მოგვეჩვენა, რომ გოლი წესების სრული დაცვით გავიდა და თამაშგარე არ იყო. სხვათა შორის, ასეთი აზრი სტადიონზე მყოფმა სპეციალისტთა უმრავლესობამაც გამოთქვა. ბევრი ცოლ-შვილსაც იფიცებდა, თავს ვდებთ, ნაღდი გოლი იყოო. ესენი კი ამტკიცებდნენ, მაგრამ ახლა მერანელებსაც ვკითხოთ. მასპინძლები მსაჯებს არაობიექტურობაში სდებდნენ ბრალს. მსაჯებმა კი, ცამდე მართლები ვართო — ქუნთელია პასის მომენტში თამაშგარედ ვერ იქნებოდა, რადგან მერანელი მცველი მეკარის ბაქანში გაეჩხირა და ამოსვლა შეაგვიანდაო.

ფედერაციას ამ საქმის დაწვრილებით გარჩევა მოუწევს, ხოლო „კოლხეთს" ორი ტრავმირებულის ფასად სამი ქულა ჯიბეში აქვს.

# მატჩები მაინც 5 საათზე დაიწყება

ეროვნულ ჩემპიონატში მორიგი 27-ე ტური 7 და 8 მაისს გაიმართება. ფეხბურთის ფედერაციამ საბოლოოდ გადაწყვიტა, მაისის თვეში მატჩები 5 საათზე დაიწყოს იმ მოტივით, რომ ახლა ადრე ბნელდება, ჩვენს სტადიონებზე კი განათების პრობლემა XXI საუკუნეში თუ გადაიჭრება და ღრუბლიან ამინდში თამაშები არ ჩაგვეშალოსო. იმედია, გამოტანილი გადაწყვეტილება მართლაც საბოლოო იქნება და მისი შეცვლა კიდევ ერთხელ არ მოგვიწევს.

# პირველ ჯგუფში თამაშიც შეგვიძლია

## ამბობს შსს „აკადემიის" მწვრთნელი ბესო მჭედლიშვილი

**ჩვენს ქვეყანაში არსებული საკმაოდ მძიმე ეკონომიკური პირობების გამო არაერთი საჭირბოროტო პრობლემაა ჩრდილში მოქცეული. საზოგადოების ინტერესის მიღმა დარჩენილა სპორტიც. ფეხბურთის გულშემატკივართა ყურადღება კი მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატისკენაა მიმართული. არადა ჩვენი ფეხბურთის ავ-კარგსაც უნდა მოკითხვა. ამჯერად მეორეჯგუფელ შსს „აკადემიას" გაგაცნობთ. ამაში კი გუნდის მთავარი მწვრთნელი ბესო მჭედლიშვილი დაგვეხმარება.**



**— როგორია შსს-ს აკადემიის გუნდის შექმნის ისტორია?**

— შსს-ს აკადემიის ფეხბურთელთა გუნდი 1995 წელს ჩამოყალიბდა და ძირითადად „ავაზას" საფეხბურთო სკოლის ფეხბურთელებით დაკომპლექტდა.

გუნდი თავიდანვე ეროვნული ჩემპიონატის მეორე ჯგუფში ჩაერთო, ხოლო 1996 წელს შსს-ს აკადემიაში სპორტული კლუბი „ცისკარიც" შეიქმნა, რომლის ძირითად შემადგენლობას კურსანტები შეადგენენ.

კლუბის პრეზიდენტი გენერალ-ლეიტენანტი ბატონი შოთა გორგოძე გახლავთ, რომელიც, ამავე დროს, აკადემიის რექტორიცაა. გუნდის ტექნიკური დირექტორი კი თენგიზ ხვადაგიანია.

**— როგორც ვიცი, თქვენს გუნდს მეორე ჯგუფში მოკლე ხანში თავისი სიტყვა უთქვამს.**

— „აკადემიაში" ბევრი ნიჭიერი მოთამაშეა თავმოყრილი. გუნდის კაპიტანი გიორგი ჭანკოტაძე, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატად ითვლება. ამასთანავე, გვყავს მეტად ახალგაზრდა და ძლიერი მეკარე — ავთანდილ ჩაჩიბაია, რომელსაც არაერთი პირველჯგუფელი იწვევს.

აღსანიშნავია საკმაოდ ნიჭიერი ფეხბურთელები: ლევან კვიციანი, გურამ მეტრეველი და დათო გოდერძიშვილი, რომელთაც, მიმაჩნია, დიდი პერსპექტივა აქვთ.

გვყავს გამოცდილი ფეხბურთელი — ერეკლე ჯულელი, რომელსაც ეროვნულ ჩემპიონატის პირველი ჯგუფის სხვადასხვა კლუბებში უთამაშია. დღეს კი ერეკლე ჩვენი გუნდის ლიდერია.

თავდასხმაში თამაშობს კაკი კაკაშვილი, ძალზე ტექნიკური ფეხბურთელი, რომელიც გუნდის ბომბარდირია.

**— ამ შემადგენლობით პირველ ჯგუფში თამაში ალბათ მაინც გაგიჭირდებოდათ.**

— თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ ჩვენი გუნდის თითქმის ყველა წევრს პირველ ჯგუფში თამაში შეუძლია. აქ გამოცდილი ფეხბურთელების, კობა კოჩაძის, მამუკა ალავიძის, არსენა მაზანაშვილის გვერდით ახალგაზრდებიც თამაშობენ. მამუკა ვაშაკიძე, კობა ჩადუნელი, კახა კუტალაძე, გიორგი ხიზანიშვილი, კახა დავითაშვილი, გია მუჯირი, აჩიკო მჭედლიშვილი, გიორგი სიმონიშვილი, ვანო პაპიაშვილი, ანდრო კირვალიძე, გიორგი ლეკაშვილი და დათო მარღიშვილი ჩვენი გუნდის მომავალია. სამწუხაროდ, მეორე წრეში დიდი ძალა დაგვაკლდა — დათო ბახტაძე ტრავმირებულია.

**— ყველა საფეხბურთო კლუბს აქვს სამომავლო ჩანაფიქრი, რომლის განხორციელებას სათანადო სპორტულ მომზადება სჭირდება.**

— მართალია, ფარ-ხმალი არ დაგვიყრია ჩემპიონატში, მაგრამ პირველ ჯგუფში გადასვლა ძალიან რთული იქნება. მიმაჩნია, რომ ამისათვის აუცილებელია გაგვაჩნდეს საკუთარი ბაზა.

**— კი მაგრამ ფეხბურთზე ასე შეყვარებული რექტორი ვერ გეხმარებათ?**

— მიუხედავად კლუბის პრეზიდენტის, ბატონ შოთა გორგოძის დიდი ხელშეწყობსა და თანადგომისა, საკუთარი ბაზისა და სტადიონის გარეშე ძალიან გაგვიჭირდება პირველ ჯგუფში ადგილის დამკვიდრება.

კიდევ კარგი, თბილისის „დინამო" და „ნორჩი დინამოელი" თავიანთ სტადიონებზე თამაშის ნებას გვრთავდნენ. მათი დიდად მადლიერნი ვართ.

**— გამოდის ჯერ დიდი ამბიციაც არ გაგაჩნიათ.**

— ჯერჯერობით იმას უნდა დავჯერდეთ, რომ „აკადემია" მეორე ჯგუფში ყველასთვის ანგარიშგასაწევი ძალაა.

**— საგაზაფხულო ცვლილებები თუ დაგეტყოთ?**

— მეორე წრეში შემატებული ახალგაზრდა ფეხბურთელი ლევან ხაბულიანი საკმაოდ წარმატებით თამაშობს თავდასხმაში.

# გიორგი ჭანკოტაძე: უცხოეთში წასვლა აუცილებელია

**„აკადემიის" კაპიტნის სატკივარითაც დავინტერესდი. გიორგი ჭანკოტაძე — 20 წლის მცველია. ძალიან უყვარს მუსიკა, და, რა თქმა უნდა, ფეხბურთი.**

**— რამდენიმე სიტყვით ჩამოაყალიბე შენი სპორტული ბიოგრაფია.**

— 1983 წელს, I კლასში რომ ვიყავი, მამაჩემმა „ავაზას" საფეხბურთო სკოლაში მიმიყვანა, რომლის დამთავრების შემდეგ ორ წელიწადს საფეხბურთო კლუბ „ავაზაში" ვთამაშობდი. 1995 წლიდან „აკადემიაში" გადავედი. მანამდე კი, კერძოდ 1993-94 წლებში საქართველოს 16 წლამდე ნაკრები გუნდის წევრი ვიყავი. 1995-96 წლებში საქართველოს 18 წლამდე ნაკრებში გამოვდიოდი. ამჟამად, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატი ვარ.

**— გუნდის კაპიტნობა ტვირთია, ასე ახალგაზრდას მისი ზიდვა არ გიჭირს?**

— რა საკვირველია, პასუხისმგებლობას ვგრძნობ. კაპიტანი მწვრთნელის მარჯვენა ხელია. ამასთანავე, მას მოთამაშეებთან უთუოდ კარგი ურთიერთობა უნდა ჰქონდეს. პასუხიც ყველაფერზე პირველ რიგში, კაპიტანს მოეთხოვება.

**— რა აზრის ხარ დღევანდელ ქართულ ფეხბურთზე?**



— ჩვენი ფეხბურთი ამჟამად კრიზისს განცდის. მხოლოდ რამდენიმე გუნდს თუ აქვს მომზადების საშუალება და დაინტერესება. საქართველოში საფეხბურთო კლუბების უმრავლესობას არა აქვს სათანადო პირობები და ხელშეწყობა ფეხბურთის სათამაშოდ. რაც შეეხება ჩვენს გუნდს, ხელმძღვანელობა და მწვრთნელები ყველაფერს ცდილობენ იმისათვის, რომ ნორმალური პირობები შეგვიქმნან და ღირსეულად ვითამაშოთ.

**— ბევრი ნიჭიერი მოთამაშე უცხოეთის სხვადასხვა გუნდებში მიემგზავრება. როგორ უყურებ ამ მოვლენას, გამართლებულად მიგაჩნია თუ არა?**

— ვთვლი, რომ ფეხბურთელი უცხოეთში თუ არ წავიდა, თავის პროფესიონალურ დონეს ისე ვერ აიმაღლებს. მე, პირადად, ამ ტენდენციას დადებითად ვაფასებ, რადგან მიმაჩნია, რომ უცხოეთში გამოცდილებამიღებული მოთამაშე ისევ ჩვენს ქვეყანას გამოადგება.

**— რომელ საფეხბურთო კლუბშიისურვებდი თამაშს?**

— სურვილი ერთია, შესაძლებლობა — მეორე. ჯერ იმ დონემდე არ მივსულვარ, რომ სურვილი დავიკმაყოფილო. თავდაპირველად მომზადებაა საჭირო.

**მაკა ზაუტაშვილი**

# ქიაფაზს უნდა ვაჭყენინოთ

დღეს გორში ამხანაგური მატჩია. „დილა" განჯის „ქიაფაზს" მასპინძლობს. თამაში 4 საათზე დაიწყება. საქმე ის გახლავთ, რომ „დილას" და „ქიაფაზის" ხელმძღვანელთა შორის მეგობრული ურთიერთობა დამყარებულა. ეს ამხანაგური მატჩიც ამ ახლობლობის ნაყოფია. განჯელთა 32-კაციანი დელეგაცია გორს გუშინ ეწვია. როგორც სტუმართა წარმომადგენელმა გვითხრა, დღეს გულშემატკივრებით სავსე ორ ავტობუსსაც ელიან. მოკლედ, გორში დიდი სტუმრიანობაა მოსალოდნელი და „ქიაფაზს" მთლად უცხო გარემოში არ მოუწევს თამაში. „დილას" ერთ-ერთი თავკაცის კობა ახალკაცის თქმით, ჩინებული სანახაობა გველის. მატჩი ამხანაგური კია, მაგრამ ვეცდებით, სტუმრები შინ გაწბილებულები გავუშვათო.

იმის გახსენებაც არ იქნება ურიგო, „ქიაფაზს" ორი ქართველი ლეგიონერი რომ ჰყავს. ბადრი კვარაცხელია და როინ კერძევაძე დღეს „დილას" მორიგად დაუპირისპირდებიან.

საქართველოში „ქიაფაზის" სტუმრობაც არაა მივიწყებული ამბავი. ეს გუნდი შარშანდელ ორმაისობას ქუთაისში „ტორპედოს" 2:2 დაუზავდა.

მოკლედ, დღეს გორში კიდევ ერთი საფეხბურთო დღეა.

## მეორე ჯგუფი

### XXVI ტური

სამეგრელო — ასკ 0:3
ცხინვალი — აკადემია 1:2
მერცხალი — სქური 0:1
ივერია — საპოვნელა 3:0
იბერია (ს) — თორი 3:0
მეშახტე — კოლხეთი 2:1
იმერეთი — იბერია (ქ) 3:1
კოდაკო — ფაზისი 5:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ასკ (ქ) | 26 | 23 | 3 | 0 | 89:12 | 72 |
| იბერია | 26 | 19 | 4 | 3 | 63:17 | 61 |
| ივერია | 26 | 17 | 4 | 5 | 61:25 | 55 |
| კოლხეთი | 26 | 17 | 3 | 6 | 60:40 | 54 |
| აკადემია | 26 | 15 | 4 | 7 | 68:29 | 44 |
| ცხინვალი | 26 | 13 | 3 | 10 | 54:31 | 42 |
| სქური | 26 | 11 | 2 | 13 | 36:54 | 35 |
| ფაზისი | 26 | 10 | 5 | 11 | 51:47 | 35 |
| მეშახტე | 26 | 10 | 2 | 14 | 43:52 | 32 |
| თორი | 26 | 9 | 5 | 12 | 45:57 | 32 |
| მერცხალი | 26 | 10 | 1 | 15 | 36:53 | 31 |
| სამეგრელო | 26 | 7 | 5 | 14 | 37:60 | 26 |
| კოდაკო | 26 | 7 | 3 | 16 | 31:50 | 24 |
| იბერია (ქ) | 26 | 7 | 3 | 16 | 36:59 | 19 |
| იმერეთი | 26 | 6 | 1 | 19 | 33:100 | 19 |
| საპოვნელა | 26 | 2 | 2 | 22 | 24:83 | 8 |

# მორწმუნე მეთოფეები

## ინგლისი

### XXXVII ტური

### ნიუკასლი 3:1 ჩელსი

ნიუკასლი: გივენი, ბარტონი, პაუი (უოტსონი 46), დაბიზასი, პირსი, პისტონე, ბეტი, სპიდი, ლი (ჰამილტონი 83), ანდერსონი (ბარნსი 80), შირერი
ჩელსი: ხარინი, კლარკი, ნიუტონი (მ. ჰიუზი 77), ლებეფი (ტ. ფლო 46), გრენვილი, შარვე, მორისი, ნიკოლსი, დი მატეო, ვიალი, მ. ჰიუზი (პოიეტი 46)
1:0 დაბიზასი (39), 2:0 ლი (42), 3:0 სპიდი (59), 3:1 დი მატეო (77)

აქამდე „ნიუკასლის" პრემიერლიგობა საჭოჭმანო გახლდათ, მაგრამ ლონდონელთა ძლევით დასაკუთრებულმა სამმა ქულამ ნათელი გახადა, რომ ჩრდილოინგლისელები მომავალ სეზონშიც ქვეყნის საფეხბურთო ელიტაში იბრძოლებენ. „ჩელსისთან" მოგება დამაჯერებელი გახლდათ, ისეთი, „ნიუკასლს" ამ სეზონში თითო-ოროლა რომ ჰქონია.

— მთავარი პრობლემა გადავჭერით. გუნდს პრემიერლიგიდან გავარდნის საფრთხე აღარ ემუქრება. ჩემპიონატი მალე დასრულდება, ეს კი საშუალებას მოგვცემს, სერიოზულად ვიფიქროთ ასოციაციის თასის მოგებაზე. მჯერა, „არსენალი" დუბლისთვის იბრძოლებს, მაგრამ წაგებას, მიუხედავად სამარცხვინო ადგილზე ყოფნისა, არც ჩვენ ვაპირებთ — მასპინძელთა შოტლანდიელი თავკაცი კენი დალგლიში გახარებული გახლდათ.

შაბათს ნიუკასლელებმა მართლაც კარგად ითამაშეს. ამაზე თუნდაც ის სამი გოლი მეტყველებს, ჩელსელთა კარის რუსი დარაჯის დმიტრი ხარინის მიღმა რომ აღმოჩნდა — დაბიზასის და რობ ლის სამი წუთის ინტერვალით შეგდებულმა ორმა შესანიშნავმა თავურმა „ნიუკასლის" შესამჩნევი საპირველტაიმო უპირატესობა ნათლად ასახა. ორივე ბურთი ტაიმის მიწურულს გავიდა, თუმც ლონდონელებზე ნამდვილად არ უმოქმედია ბევრისთვის კომპლექსად ქცეულ ბოლო წუთის ფაქტორს.

ნიუკასლელებმა კარგად ითამაშესო ვამბობთ, მაგრამ იყო მათ შორის ერთი, შესაძლებლობებს აშკარად რომ ვერ ამჟღავნებდა — ალან შირერისთვის ეს სეზონი მთლიანობაში დანავსული გამოდგა და გარდა იმისა, რომ უშედეგობა მოედანზე ინგლისის უპირველესი თავდამსხმელისთვის ლამის მუდმივი თანამდევი გახდა, კრიზისი შირერს მინდვრის გარეთაც დაეწყო — ბოლო კვირაა, მას ძალიან აკრიტიკებენ ზედმეტი უხეშობის გამო. თავად ყურადღების ობიექტი კი დანაშაულს ვერ ხედავს. ერთი სიტყვით, შირერის თავს არცთუ კარგი ამბები ხდება, რაც ინგლისის ნაკრების კაპიტნის თამაშს აშკარად ეტყობა.

მთლიანობაში შეხვედრა თვალსასეირო გამოდგა. ბოლოს კი იმას დავძენ, რომ თუ მოხდა და „ნიუკასლ იუნაიტედმა" ასოციაციის, იგივე ქვეყნის თასი მოიგო, კლუბის თავკაცი კენი დალგლიში პირველი მწვრთნელი გახდება ინგლისის ფეხბურთის ისტორიაში, რომელმაც სამი სხვადასხვა გუნდი ქვეყნის სხვადასხვა ჯილდოს (ჩემპიონობა, ასოციაციის და ლიგის თასები) მფლობელი გახადა.

### არსენალი 4:0 ევერტონი

არსენალი: სიმენი, დიქსონი, უინთერბერნი, ვიეირა, ადამსი, ანელკა (რაიტი 72), კეონი, პარლოუ, პეტი (პლატი 44), ვრე (ბოულდი 80), ოვერმარსი
ევერტონი: მური, უოტსონი, ბარმბი, ატკინსონი, შორტი, ბიგრი (მადარი 46), ტილერი, ბოლი, ბილიჩი (ოსტერი 46), ოკონი (ფარელი 46), ფერგიუსონი
1:0 ბილიჩი (ნს.კ.) 2:0, 3:0 ოვერმარსი (28, 57), 4:0 ადამსი (89)

...მაშინ, დეკემბერში, „ბლექბერნ როვერსთან" წაგების შემდეგ ვისაც არ დაეზარა, „არსენალი" ყველამ გააკრიტიკა. თავი არც ფეხბურთელებმა დაინდეს და საკუთარი ნაკლოვანებები ჯეროვნად შეაფასეს. გუნდის კაპიტანმა, გამოსწორებულმა ლოთმა ტონი ადამსმა კი სხვა ხერხს მიმართა — ინტერნეტის ქსელში კლუბის ფანების ნააზრევი მოიძია და მათი საფუძვლიანად გაცნობის შემდეგ არსენალელთა საერთო კრებაზე დასკვნები გამოიტანა. მას შემდეგ „არსენალმა", რომელიც მაშინ შორს გახლდათ ჩემპიონობისთვის მებრძოლთაგან, 54 შესაძლებლობიდან 48 ქულა მოაგროვა და აგერ, პრემიერლიგის დასრულებამდე ტურით ადრე, ჩემპიონობაც მოიპოვა.

კვირას ლონდონის „არსენალმა" ინგლისის ჩემპიონატი მე-11-ედ მოიგო, თავად კი პირველი დედაქალაქური გუნდი გახდა, რომელმაც პრემიერლიგაში იმარჯვა — აქამდე 1992 წელს დაარსებული პრემიერლიგა ეგრეთ წოდებულ პროვინციელებს უხრიდა ქედს.

— ჩვენ ამ გამარჯვებისკენ მთელი სეზონი მივისწრაფვოდით. „არსენალი" ღირსი იყო, მოეგო პრემიერლიგა და ვიმარჯვეთ კიდეც — ფრანგმა მწვრთნელმა კლუბის გაჩემპიონება მართებულად მიიჩნია, შემდეგ კი დასძინა — სეზონის წინ არჩეული ტაქტიკის გამო ბევრი მაკრიტიკებდა. იმედია, ახლა დაინახავენ, რომ მათი კრიტიკა უსაფუძვლო იყო.

— არც კი მახსოვს, წინა ორი ჩემპიონობა როგორ ავღნიშნეთ. ის ხომ ძალიან ადრე იყო (ბოლოს არსენალი" ჩემპიონი 1991 წელს გახდა). მას შემდეგ კლუბშიც და პირადად ჩემს ცხოვრებაშიც ბევრი რამ შეიცვალა. კარგია, რომ ამდენი ხნის შემდეგ „არსენალი" კვლავ ჩემპიონია. მეტიც, ეს ბრწყინვალე რამაა — კლუბის კაპიტანი ტონი ადამსი 1991 წელსაც არსენალელი გახლდათ.

რა სიტუაცია იყო „არსენალის" კულუარებში, ვერ გეტყვით, მაგრამ გუნდი ძლიერად რომ ბურთაობს, აშკარაა. „მეთოფეებმა" არც მეტი, არც ნაკლები, ზედიზედ 10 შეხვედრა მოიგეს, ეს კი კლუბის რეკორდია. ეგრეც არ იყოს, ამდენ გამარჯვებას რომ მიაღწევ ზედიზედ, ჩემპიონობის ღირსი ნამდვილად ხარ. განსაკუთრებით თვალშისაცემი ლონდონელთა თამაშში დაცვის ძველებური სიძლიერე გახლდათ — როცა 1991 წელს კლუბმა ჯორჯ გრემის თავკაცობით ჩემპიონატი მოიგო, „არსენალის" დაცვა მაშინაც თითქმის გაუვალი იყო. ახლაც, მეორე წრიდან მოყოლებული, ლონდონელთა მეტოქეთ სიმენის ან მისი შემცვლელი ავსტრიელი მენინგერის კარში შეგდებული გოლის ხილვა უდიდეს ძალისხმევად ულირდათ. დაცვის მწყობრი, რკინისებური თამაში კი ალბიონურ ფეხბურთს შეზავებული ევროპული ბურთაობის ლოგიკური შედეგი გახლდათ.

მეორე ტაიმის და საერთოდ შეხვედრის მიწურულს „მეთოფეთა" მთავარი „მსროლელი" იან რაიტი გამოჩნდა. მართალია, თამაშის მსვლელობაზე შავკანიან ფორვარდს დიდი ზეგავლენა არ მოუხდენია, მაგრამ სწორედ იგი აღმოჩნდა ის ერთადერთი გაჩემპიონებული ფეხბურთელი, რომელიც გახარებულ მაყურებელს მიეჭრა და შამპანური აპკურა.

— მე მჯეროდა გუნდის. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ რწმენას ბევრი რომ ძალუძს. დღეს ჩემპიონები ვართ. „არსენალი" ინგლისის საუკეთესო გუნდია! — ეს სიტყვები რაიტმა ცხელ გულზე წარმოთქვა.

### ლივერპული 5:0 ვესტ ჰემი

ლივერპული: ფრიდელი, კვარმე, მაკატირი, ბები, ლეონარდსენი, ჰარკნესი, კარაგერი, ბიორნებიე, ინსი, რიდლე, ოუენი
ვესტ ჰემი: ლამა, ანსუორსი, სინკლერი, კოტსონი (მინი 84), ლომასი, ფერდინანდი, მონკური (ომოიმნი 75), ლაზარიდისი, ლემპარდი, პირსი, ბერკოვიჩი (აბუ 52)
1:0 ოუენი (4), 2:0, 3:0 მაკატირი (21, 25), 4:0 ლეონარდსენი (45), 5:0 ინსი (61)

წინა ტურში „ლივერპული" ლონდონში „ჩელსის" „ჩაბარდა" (1:4 წააგო), თუმცა, მიუხედავად „სტემფორდ ბრიჯზე" (ჩელსის სტადიონი) განცდილი მარცხისა, ლივერპულელებს ლიგის თასის მომგებნი ალბათ მესამე ადგილისთვის ბრძოლაში ველარ შეეცილებიან — დედაქალაქის მეორე კლუბის ნგრევით „ლივერპული" მესამე ადგილზე მყარად დამკვიდრდა და, როგორც ჩანს, ამ ჩემპიონატს ბრინჯაოს პრიზიორად დაასრულებს.

— იუბილეს აღნიშვნაც ასეთი უნდა. არ მეგონა, აგრერიგად თუ გამიმართლებდა — სტუმართა კარში ორი გოლის გამტანი ჯეისონ მაკატირი, რომელიც ინგლისის ჩემპიონატში მე-200 შეხვედრას ატარებდა, ბომბარდირული თვისებების გამოვლენით აღფრთოვანებული გახლდათ.

სხვათა შორის, „ენფილდ როუდი" ვესტ ჰემელთათვის დანავსული სტადიონია — ლონდონელ „ჩაქუჩებს" აქ 1963 წლის სექტემბრის შემდეგ არ უმარჯვიათ.

### უიმბლდონი 2:6 ტოტენჰემი

უიმბლდონი: სალივანი, კიმბლი, ტეტჩერი, რობერტსი, პერი, მ. ჰიუზი, მაკალისტერი, იუელი (ფრენსისი 36), ფეარი, ლებერნი (გეილი 46), კენედი (კ. ჰიუზი 63)
ტოტენჰემი: უოკერი, კალდერვუდი, ფოქსი (საიბი 72), ნილსენი, კარი, კემპბელი, ჟინოლა, ბერტი, ანდერტონი, ფერდინანდი (არმსტრონგი 61), კლინსმანი
0:1 ფერდინანდი (18), 1:1, 2:1 ფეარი (21, 30), 2:2, 2:3, 2:4, 2:5 კლინსმანი (41, 54, 58, 60), 2:6 საიბი (79)

ტოტენჰემელებმა კლინსმანი დიდი ძალისხმევის შედეგად დაიბრუნეს და სჯეროდათ, რომ იგი გუნდს აღაზევებდა. მათ სწამდათ, რომ კლინსმანი თავდამსხმელის პრობლემას გადაჭრიდა. მათ იცოდნენ, რომ...

იურგენ კლინსმანმა გვიან გაამართლა. თუმცა გაამართლა ბრწყინვალედ — ერთ მატჩში ოთხი გოლი, ეს დაუვიწყარი იშვიათობაა.

### ქოვენთრი 2:0 ბლექბერნი

ქოვენთრი: ჰედმანი, შოუ, ბაროუსი, ბრინი, ნილსონი, ველანი, ტელფერი, სოლტვედტი, ბოატენგი (ბოულენდი 86), ჰაკერბი (მოლდოვანი 68), დაბლინი
ბლექბერნი: ფლაუერსი, კენა, ვალერი (დაფი 46), ჰენდრი, ენჩოსი, კროფტი, უილკოქსი, ფლიტკროფტი, მაკინლი (დალონი 66), სატონი, გალაჰერი
1:0 დაბლინი (19პ), 2:0 ბოატენგი (34)

გაშვებული პენალტით გამწარებული ინგლისის ნაკრების სათადარიგო მეკარე ტიმ ფლაუერსი მე-20 წუთზე მსაჯს მიეჭრა და გინება დაუწყო, რის გამოც გააგდეს კიდეც, თუმც თავხედობა მერეც არ შეუწყვეტია.

### ლესტერი 1:0 ბარნსლი

ლესტერი: კელერი, სევიჯი, უოლში, კოტი (ფენტონი 83), იზეტი, ლენონი, ზაგორაკისი, მარშალი, ჰესკი, ელიოტი
ბარნსლი: უოტსონი, იდენი, მიუზისი, დევიზ, მარსელი, ჯონსი (ბალოკი 59), ტინკლერი (ბოზანჩიჩი 56), ბერნარდი, უორდი, ფიორტოფტი (ლიდელი 69), რედფერნი
1:0 ზაგორაკისი (57)

საუკუნე და 10 წელი მოთმინებით უცდიდა „ბარნსლი", როდის მიიღებდა ინგლისის საფეხბურთო ელიტა მას. შარშან ეს დროც დადგა, თუმცა იქ მყოფნი აღზევებულისთვის ძალიან ძლიერნი გამოდგნენ და „ბარნსლისაც" უკან დაბრუნება მოუწია.

### საუთჰემპტონი 0:2 დერბი

საუთჰემპტონი: ჯონსი, დოდი, ბენალი, პალმერი, მონკუ, ლუნდეკვამი, ოუკლი, ჰერსტი (ბიშემი 69), ოსტენსტადი, გიბენსი (უილიამსი 78), ლე ტისიე
დერბი: პოომი, დელაპი, კოზლაკი (პაუელი 66), როუეტი, დეილი, ლაურსენი, კერსლი, უოლესი (ვან დერ ლაანი 66), ბოჰინენი, ვენჩოპე (ბარტონი 82), სტარიჯი
0:1 დეილი (50), 0:2 სტარიჯი (88)

საუთჰემპტონელი ფრენსის ბენალი 55-ე წუთზე ზღვარგადასული უხეშობის გამო კარიერაში მე-11 გააძევეს.

### შეფილდი 1:3 ასტონ ვილა

შეფილდი: პრესმენი, აზერტონი, პემბრიჯი (სანეტი 46), უოკერი, პაიდი, სტეფანოვიჩი, ჰინჩკლიფი, ტომი (უითინგემი 35), ბარეტი (მეჯილტონი 72), კარბონე, დი კანიო
ასტონ ვილა: ოუკსი, საუთგეიტი, ეჰიოგუ, ტეილორი (ბერი 49), დრაპერი, იოაკიმი, რაიტი, ნელსონი, გრეისონი, ჰენდრი, იორკი
0:1 იორკი (21), 0:2 ჰენდრი (25), 0:3 იოაკიმი (50), 1:3 სანეტი (89)

იტალიელმა ფრანჩესკო სანეტიმ სადებიუტო მატჩში შეაგდო.

### ბოლტონი 5:2 კრ. პალასი

ბოლტონი: ბრენეგენი, კოქსი, ფიში, ტომპსონი, ფილიპსი, ბერგსონი, შერიდანი (იოჰანსენი 89), ტაგარტი, ფრანდსენი, ბლეიკი (სალაკო 83), ტეილორი (ჰოლდსუორსი 54)
კრ. პალასი: მილერი, ედვორსი, გორდონი, ჩურჩიჩი, უორჰერსტი, ბენტი, ისმაელი, პრიდარსონი, ფალერტონი, იანსენი, ლომბარდო (შიპერლი 75)
1:0 ბლეიკი (7), 1:1 გორდონი (8), 1:2 ბენტი (16), 2:2 ფიში (20), 3:2 ფილიპსი (30), 4:2 ტომპსონი (70), 5:2 ჰოლდსუორსი (79)

„კრისტალ პალასს" როცა წვრთნიდნენ, მაშინ არაფერი კეთდებოდა და ახლა უმწვრთნელოდ რა უნდა ექნა?

ლაშა გოდუაძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 36 | 23 | 9 | 4 | 68:28 | 78 |
| მანჩესტერი | 36 | 21 | 8 | 7 | 68:26 | 71 |
| ლივერპული | 36 | 17 | 11 | 8 | 64:41 | 62 |
| ჩელსი | 37 | 19 | 3 | 15 | 69:43 | 60 |
| ლიდსი | 36 | 17 | 7 | 12 | 56:42 | 58 |
| ბლექბერნი | 37 | 15 | 10 | 12 | 56:52 | 55 |
| ასტონ ვილა | 37 | 16 | 6 | 15 | 48:48 | 54 |
| ლესტერი | 37 | 13 | 14 | 10 | 48:37 | 53 |
| დერბი | 37 | 15 | 7 | 15 | 51:49 | 52 |
| ვესტ ჰემი | 36 | 15 | 7 | 14 | 49:51 | 52 |
| ქოვენთრი | 37 | 12 | 15 | 10 | 45:43 | 51 |
| საუთჰემპტონი | 37 | 14 | 5 | 18 | 49:54 | 47 |
| ნიუკასლი | 37 | 11 | 11 | 15 | 35:43 | 44 |
| შეფილდი | 37 | 12 | 8 | 17 | 52:66 | 44 |
| ტოტენჰემი | 37 | 11 | 10 | 16 | 43:55 | 43 |
| უიმბლდონი | 37 | 10 | 13 | 14 | 33:45 | 43 |
| ბოლტონი | 37 | 9 | 13 | 15 | 41:59 | 40 |
| ევერტონი | 37 | 9 | 12 | 16 | 40:55 | 39 |
| ბარნსლი | 37 | 10 | 5 | 22 | 37:80 | 35 |
| კრ. პალასი | 36 | 7 | 8 | 21 | 33:68 | 29 |

## პირველი დივიზიონი

### სტოკი 2:5 სიტი

სიტი: მარგეტსონი, ედჯილი, ჰორლოკი, ვიკენსი, საიმონსი, ვიგენი, ჯიმ უაიტლი (ბრენენი 46), პოლოკი, გოატერი (ქინქლაძე 75), დიკოვი (ჯეფ უაიტლი 90)
0:1 გოატერი (32), 0:2 დიკოვი (49), 1:2 ტორნი (62), 1:3 ბრედბერი (64), 1:4 გოატერი (71), 2:4 ტორნი (87), 2:5 ჰორლოკი (90).

არ გაინტერესებთ, ვის გაუტანეს მანჩესტერელებმა ხუთი გოლი? ცხადია, „სტოკ სიტის", მაგრამ განადგურებულთა კარში უელსელი ნევილ საუთჰოლი იდგა, რომელსაც კარიერის მიწურულს, მატჩში სამი-ოთხი ბურთის გაშვება ლამის ჩვეულებად ექცა.

სეზონის საუკეთესო შეხვედრა ვითამაშეთო იტყვის მატჩის შემდეგ, ბოლო 12 წელიწადში „მანჩესტერ სიტის" მე-11 მწვრთნელი ჯო როილი და მართალიც იქნება. გიო ქინქლაძის თანაგუნდელები როგორც არასდროს, ისე გაისარჯნენ, მაგრამ რად გინდა? — 111-წლიანი ისტრიის კლუბი უდიდესი სირცხვილისაგან ვერ იხსნეს.

მომავალ სეზონში „მანჩესტერ სიტი", გუნდი, რომელიც ორიოდ წლის წინ პრემიერლიგაში ირჯებოდა, არც მეტი, არც ნაკლები, „ლინკოლნს" „მესფილდს" და მისთანებს შეხვდება, ასევე „სტოკ სიტისაც", რომელიც მანჩესტერელებთან ერთად დაქვეითდა.

## რუმინეთი

34-ე ტური. უნივერსიტატეა (კრაიოვა) — რაპიდი (ბუქარესტი) 2:2; ბაკაუ — არჯეში 5:3; ფორესტა — დინამო 3:1; უნივერსიტატეა (კლუჟი) — ჩაჰლაული 3:3; ჟიული — სპორტული 1:0; სტიაუა — გლორია 5:2; ოცელული — ფარული 1:0; ნაციონალი — პეტროლული 1:0; რესიტა — ხინდია 6:1.

ჩემპიონი ტრადიციულად „სტიაუა" გახდა. ბუქარესტელებს ზედიზედ მეექვსე სეზონია, არავისთვის დაუთმიათ ეს ტიტული. ახლაც შაბათის მატჩში, ბისტრიცას „გლორიასთან" 5:2 გამარჯვების შემდეგ „სტიაუა" მიუწვდომელი შეიქნა სხვა გუნდებისთვის. ჩემპიონებს 80 ქულა დაუგროვდათ და ორი ქულით გაასწრეს ყოფილ ლიდერსა და ჩემპიონობის უპირველეს კანდიდატს, თანაქალაქელ „რაპიდს". ამ უკანასკნელმა 2:2 დამთავრებულ ბოლო მატჩში ჩვენთვის კარგად ნაცნობ კრაიოვას „უნივერსიტატეასთან" გაიყო ქულები (კრაიოველებს თბილისის დინამოელებმა უეფას თასის 1994-95 წლების გათამაშებაში ორჯერ სძლიეს — 2:0 თბილისში და 2:1 კრაიოვაში).

ოთხშაბათს „რაპიდსა" და „უნივერსიტატეას" კიდევ მოუწევთ შეხვედრა. ეს გუნდები რუმინეთის თასის ფინალში დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტიაუა | 34 | 25 | 5 | 4 | 83:36 | 80 |
| რაპიდი | 34 | 24 | 6 | 4 | 70:24 | 78 |
| არჯეში | 34 | 20 | 5 | 9 | 56:38 | 65 |
| ოცელული | 34 | 20 | 4 | 10 | 54:28 | 64 |
| ნაციონალი | 34 | 18 | 6 | 10 | 57:40 | 60 |
| დინამო | 34 | 17 | 3 | 14 | 66:50 | 54 |
| რესიტა | 34 | 15 | 6 | 13 | 55:49 | 51 |
| უნივ.(კრაიოვა) | 34 | 15 | 4 | 15 | 65:46 | 49 |
| ჩაჰლაული | 34 | 14 | 7 | 13 | 46:50 | 49 |
| ბაკაუ | 34 | 12 | 9 | 13 | 41:42 | 45 |
| გლორია | 34 | 13 | 5 | 16 | 57:63 | 44 |
| ფარული | 34 | 13 | 4 | 17 | 36:52 | 43 |
| უნივ. (კლუჟი) | 34 | 11 | 7 | 16 | 42:40 | 40 |
| პეტროლული | 34 | 11 | 7 | 16 | 41:45 | 40 |
| ფორესტა | 34 | 10 | 9 | 15 | 32:41 | 39 |
| ხინდია | 34 | 10 | 8 | 16 | 40:67 | 38 |
| სპორტული | 34 | 5 | 4 | 25 | 32:65 | 19 |
| ჟიული | 34 | 3 | 1 | 30 | 19:116 | 10 |

## თურქეთი

33 ტური. სამსუნი — ბურსა 2:0; გენჩლერბირლიგი — ვანსფორი 1:2; ტრაბზონი — ანკარაგიუჯიუ 3:1; ქაისერი — დარდანელი 3:3; გალათასარაი — ისთანბული 4:1; ბეშიქთაში — ანთალია 0:1; შექერსფორი — ფენერბაჰჩე 1:1; გაზიანთეფი — ქოჯაელი 3:0; ალთაი — ქარაბუქი 5:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 33 | 22 | 6 | 5 | 83:41 | 72 |
| ფენერბაჰჩე | 33 | 20 | 8 | 5 | 57:24 | 68 |
| ტრაბზონი | 33 | 18 | 9 | 6 | 66:41 | 63 |
| ისთანბული | 33 | 14 | 12 | 7 | 59:39 | 54 |
| სამსუნი | 33 | 14 | 7 | 12 | 42:38 | 49 |
| ბურსა | 33 | 13 | 9 | 11 | 51:42 | 48 |
| ბეშიქთაში | 33 | 13 | 8 | 12 | 56:41 | 47 |
| ალთაი | 33 | 11 | 11 | 11 | 42:49 | 44 |
| ქარაბუქი | 33 | 13 | 5 | 15 | 32:47 | 44 |
| დარდანელი | 33 | 10 | 11 | 12 | 40:40 | 41 |
| ანკარაგიუჯიუ | 33 | 11 | 8 | 14 | 38:44 | 41 |
| ანთალია | 33 | 10 | 10 | 13 | 48:52 | 40 |
| ქოჯაელი | 33 | 11 | 7 | 15 | 42:46 | 40 |
| გენჩლერბირ. | 33 | 9 | 11 | 13 | 41:44 | 38 |
| გაზიანთეფი | 33 | 9 | 10 | 14 | 39:42 | 37 |
| ქაისერი | 33 | 9 | 6 | 18 | 39:62 | 33 |
| შექერსფორი | 33 | 8 | 8 | 17 | 32:70 | 32 |
| ვანსფორი | 33 | 5 | 8 | 20 | 26:71 | 23 |

## საბერძნეთი

31 ტური. პანიონისი — ოლიმპიაკოსი 1:2; კალამატა — იონიკოსი 2:0; აეკი — ათინაიკოსი 1:1; პანათინაიკოსი — ირაკლისი 0:0; ოფი — ეთნიკოსი 3:0; პანილიაკოსი — კავალა 0:2; ქსანტი — ვერია 4:0; პაოკი — პანახაიკი 4:1; პრუდეფტიკი — აპოლონი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 31 | 27 | 1 | 3 | 80:21 | 82 |
| პანათინაიკოსი | 31 | 24 | 2 | 5 | 78:24 | 74 |
| აეკი | 31 | 20 | 7 | 4 | 54:27 | 67 |
| პაოკი | 31 | 19 | 7 | 5 | 66:39 | 64 |
| იონიკოსი | 31 | 17 | 7 | 7 | 43:28 | 58 |
| ირაკლისი | 31 | 13 | 9 | 9 | 44:39 | 48 |
| ქსანტი | 31 | 12 | 6 | 13 | 49:49 | 42 |
| ოფი | 31 | 13 | 3 | 15 | 41:52 | 42 |
| ვერია | 31 | 11 | 6 | 14 | 35:42 | 39 |
| აპოლონი | 31 | 10 | 6 | 15 | 31:40 | 36 |
| პანილიაკოსი | 31 | 9 | 8 | 14 | 41:46 | 35 |
| პანიონისი | 31 | 9 | 5 | 17 | 36:50 | 32 |
| პანახაიკი | 31 | 9 | 4 | 18 | 27:54 | 31 |
| პრუდეფტიკი | 31 | 8 | 6 | 17 | 31:55 | 30 |
| კალამატა | 31 | 7 | 8 | 16 | 25:43 | 29 |
| ათინაიკოსი | 31 | 6 | 9 | 16 | 23:45 | 27 |
| კავალა | 31 | 7 | 5 | 19 | 33:57 | 26 |
| ეთნიკოსი | 31 | 7 | 3 | 21 | 24:51 | 24 |




REUTERS

ჩემპიონი მეთოფეები — ესენი კიდევ გაისვრიან

## იტალია

### XXXII ტურის მიმოხილვა

— მართალია, იმედიც ერთობ მკრთალი გვქონდა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ჩემპიონის ტიტული დღეს დავკარგეთ — თქვა „ინტერის“ პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ მას მერე, რაც მისმა გუნდმა შინ „პიაჩენცას“ ვერ მოუგო — სამწუხაროა, შანსის ხელიდან გაშვება, მით უფრო, რომ „იუვენტუსმაც“ ფრე ითამაშა... მიუხედავად ამისა, გუნდის წინააღმდეგ არაფერს ვიტყვი. ვგონებ, ოცდახუთი საგოლე მომენტი შევქმენით, მაგრამ მოწინააღმდეგის მეკარემ საუცხოოდ ითამაშა.

ხვალ, მოგეხსენებათ, „ინტერს“ „ლაციოსთან“ უეფას თასის ფინალი ელის. ამასთან დაკავშირებით მორატიმ თქვა:
— იმედი მაქვს,რომ „ინტერი“ „ლაციოსთანაც“ ისევე თავდადებით ითამაშებს, დღეს რომ ითამაშა. სეზონი როხიანად უნდა დავამთავროთ.

ლიდერმა, „იუვენტუსმა“ ვიჩენცაში მიღწეული ფრით 25-ე სკუდეტოსკენ მიმავალ გზაზე მიზანი ნათლად დაინახა. ახლა, ამ უქმეებზე, ტურინელებმა შინ „ბოლონიას“ რომ მოუგონ, ერთი ტურით ადრე მოიპოვებენ ჩემპიონის ტიტულს.

„მილანი“ კი... არადა ფაბიო კაპელოს ბიჭები რამდენიმე წლის წინ მსოფლიოს აზანზარებდნენ. კაპელომ ხუთ სეზონში ითხჯერ მოაგებინა „შავ-წითლებს“ ჩემპიონობა, შემდეგ ესპანეთში, მადრიდის „რეალში“ გადავიდა და იქაური ტიტულიც მიამატა თავის უმდიდრეს კოლექციას. ამ სეზონის დასაწყისში მილანის კლუბის მფლობელმა, იტალიის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა სილვიო ბერლუსკონიმ მწვრთნელი ისევ „სან სიროზე“ დააბრუნა და განაცხადა, თუკი „ინტერმა“ რონალდო იყიდა, ჩვენ სამაგიეროდ კაპელო შევიძინეთო, მაგრამ მართლაც დიდმა სპეციალისტმა საქმეს ვერ უშველა. „მილანის“ დაღმასვლა ისეთი მიზეზებით აღმოჩნდა განპირობებული, რომელთა უცბათ მიხვედრა თვით კაპელოსაც კი არ შეეძლებია. ჰოდა, ბოლო ტურში „მილანმა“ „რომასთან“ 0:5 წააგო.

დღეს „მილანის“ შეფები ჩუმად არიან. კითხვაზე, დარჩება თუ არა გუნდის სათავეში კაპელო, არც ჰოს ამბობენ, არც არას. ბერლუსკონის მარჯვენა ხე-

# ვეა ატირდა ვით მეფე ლირი



REUTERS მილანიდან

ინტერი — პიაჩენცა. რონალდო ჭაბუკი კია, მაგრამ მხცოვან ვერხოვოდს ვერა დააკლო რა

ლმა, ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ ასე უთხრა ჟურნალისტებს: — არავითარი კომენტარი. დაველოდოთ სეზონის ბოლომდე და ვნახოთ...

ჭორები კი ბუნებრივია ქუჩა-ქუჩა დაძვრებიან. ისინი ქომაგებს ყურის ნიჟარაზე ჩამოუსხდებიან და ეჩურჩულებიან, რომ მომავალ სეზონში კაპელოს ან ალბერტო ძაქერონი შეცვლის ან კარლო ანჩელოტი. ძაქერონი „უდინეზეში“ მუშაობს, ანჩელოტი — „პარმაში“.

უფრო სავარაუდო ძაკერონისტი ჭორების ნაჩურჩულევი გახლავთ. საქმე ისაა, რომ ამ სეზონის ბოლოს „უდინეზედან“ „მილანში“ მიდის „სიბერეში“ სახელმოხვეჭილი გერმანელი თავდამსხმელი ოლივერ ბირჰოფი და რაკი უდინე — მილანის ტრანსფერ-ბილიკი უკვე გაკვალულია, მაშ რაღაა მოულოდნელი იმაში, რომ ფორვადს ჭკუის დამრიგებელიც გაჰყვეს?

არაო, გაიძახიან ანჩელოტისტი ჭორები. ჩვენი კარლო ფესვებით მილანელია, 1989 და 1990 წლებში კლუბმა ჩემპიონთა თასი რომ მოიგო, მას შავ-წითელი მაისური ეცვა, თანაც „პარმასაც“ მისი გაძევება უნდა, „ფიორენტინადან“ ალბერტო მალესანის მიყვანას აპირებსო.

— გავბრაზდი. ძალიან გავბრაზდი. ასე თამაში არ შეიძლებოდა. „მილანში“ საკმაოდ არიან მაღალი კლასის ფეხბურთელები, იტალიის ნაკრების კაპიტნები და სხვანი, ვარსკვლავობის პრეტენზია რომ აქვთ. ჰოდა, მათ ასე არ უნდა შეერცხვინათ თავი. გავბრაზდი, რადგან ამ მოთამაშეებს „მილანი“ ფეხებზე ჰკიდიათ. კაპელომ რა ჰქნას? მას შეუძლია დაგარიგოს, მაგრამ თვითონ ხომ ვერ ითამაშებს? მოედანზე ჩვენ ვართ, ჩვენ ვუშვებთ შეცდომებს. წაგების შემდეგ მთელი ღამე ვტიროდი და არა შედეგის გამო, არამედ იმიტომ, რომ ამდენმა ხალხმა არ გააკეთა ის, რაც უნდა გაეკეთებინა — ეს ემოციური სიტყვა „მილანისა“ და ლიბერიის ნაკრების თავდამსხმელს, 1995 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელს, ჟორჟ ვეას აღმოხდა.

ატყდა ერთი ამბავი. ეჰ, ძველი მილანური სულიო, ვან ბასტენიო, გულიტი და რაიკაარდიო, ბარეზი, ტასოტი, გალი, მასარო და რკინასავით ბიჭებიო.

— არ მინდა, ძველმილანურ თუ ახალმილანურ სულზე ლაპარაკი. გუნდი გუნდია... მხოლოდ ისაა ძნელი ასახსნელი, რა ხდება ჩვენს თავს ბოლო ორი წლის განმავლობაში. ადრე, ბარეზი რომ გვყავდა, გვიხსნიდა, როგორ უნდა მოვქცეულიყავით და მაგალითს გვაჩვენებდა — ესეც ვეამ თქვა.

ახლა ვინ თამაშობს „მილანში“? მალდინი, ალბერტინი, კოსტაკურტა, დონადონი, როსი, ბობანი, ვეა, ბა, ციგე, ანდრე კრუზი, კლუივერტი, სავიჩევიჩი... მეტი რა გინდა!

— ახლა რაიმეს შეცვლაზე ლაპარაკი უდროოა, მაგრამ რაღაც უნდა გაკეთდეს და ეს ფაქტია — თქვა თავად კაპელომ.

მილანი მილანად და მოდი სხვა თვალით შევხედოთ იტალიის ჩემპიონატის ბოლო ტურს. ეს იყო პოსტ-ჩეკარინული ეპოქის პირველი ტური, რომელშიც გადაჩეკარინებული „იუვენტუსი“, როგორც გითხარით, ვიჩენცაში თამაშობდა.

„ვიჩენცა“ — „იუვენტუსის“ მსაჯი გახლდათ გრაციანო ჩეზარი, რომელსაც მთელი იტალია უთვალთვალებდა. მისი ერთი შეცდომაც საკმარისი იქნებოდა იმისათვის, რომ გაორმაგებული ძალით აგორებულიყო მსაჯთა კრიტიკის ტალღა, რომელსაც საფუძველი პიერო ჩეკარინის მიერ წინა ტურში, „ინტერთან“ შეხვედრაში „იუვეს“ სასარგებლოდ დაშვებულმა შეცდომამ ჩაუყარა. ჩეზარისთვის საგანგებო დაცვაც კი იყო გამოყოფილი, მაგრამ ლონიერი ბიჭების დახმარება საჭირო არ გახდა.

ეს იყო თამაში, რომელშიც ორივე გუნდის ფეხბურთელები ყველა ღონეს ხმარობდნენ, რათა არბიტრს მუშაობა გაადვილებოდა. ამას, „ვიჩენცას“ თავდამსხმელი პასკუალე ლუიზო წინასწარმეტყველებდა კიდეც.

„ბრეშამ“ კი, თუ გაინტერესებთ, მწვრთნელი პაოლო ფერარიო დაითხოვა თანამდებობიდან. საბრალო ფერარიო მთელი კვირა ამზადებდა გუნდს „ფიორენტინასთან“ სათამაშოდ, უნდოდა იგი სერია B-ში ჩაბრუნებისაგან გადაერჩინა, მაგრამ თამაში დამთავრდა (ანგარიშს ნუ გვკითხავთ!) და კლუბის დირექტორატმა მწვრთნელს აცნობა, რომ ახალი სეზონიდან მის ნაცვლად „ბრეშას“ ყოფილი ადგილობრივი ვარსკვლავი, ეგიდიო სალკი ჩაუდგება სათავეში.

**პაპუნა ძიძია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 32 | 20 | 10 | 2 | 63:25 | 70 |
| ინტერი | 32 | 20 | 6 | 6 | 57:24 | 66 |
| უდინეზე | 32 | 17 | 7 | 8 | 58:39 | 58 |
| ლაციო | 32 | 16 | 8 | 8 | 51:24 | 56 |
| პარმა | 32 | 15 | 11 | 6 | 53:35 | 56 |
| რომა | 32 | 15 | 10 | 7 | 62:39 | 55 |
| ფიორენტინა | 32 | 13 | 12 | 7 | 59:35 | 51 |
| სამპდორია | 32 | 13 | 8 | 11 | 51:52 | 47 |
| ბოლონია | 32 | 11 | 12 | 9 | 51:42 | 45 |
| მილანი | 32 | 11 | 10 | 11 | 36:40 | 43 |
| ვიჩენცა | 32 | 9 | 9 | 14 | 33:55 | 36 |
| ემპოლი | 32 | 9 | 7 | 16 | 46:52 | 34 |
| ბარი | 32 | 9 | 7 | 16 | 26:42 | 34 |
| პიაჩენცა | 32 | 6 | 15 | 11 | 23:34 | 33 |
| ატალანტა | 32 | 7 | 10 | 15 | 24:46 | 31 |
| ბრეშა | 32 | 7 | 8 | 17 | 40:61 | 29 |
| ლეჩე | 32 | 6 | 7 | 19 | 30:68 | 25 |
| ნაპოლი | 32 | 2 | 7 | 23 | 22:72 | 13 |

### სერია B

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სალერნიტანა | 32 | 17 | 13 | 2 | 56:25 | 64 |
| ვენეცია | 32 | 16 | 9 | 7 | 45:26 | 57 |
| კალიარი | 32 | 13 | 15 | 4 | 44:27 | 54 |
| ტორინო | 32 | 14 | 10 | 8 | 44:35 | 52 |
| პერუჯა | 32 | 11 | 13 | 8 | 36:33 | 46 |
| რეჯანა | 32 | 12 | 9 | 11 | 34:29 | 45 |
| ჯენოა | 32 | 12 | 9 | 11 | 47:45 | 45 |
| რეჯინა | 32 | 11 | 12 | 9 | 31:33 | 45 |
| კიევო | 32 | 11 | 10 | 11 | 34:37 | 43 |
| ვერონა | 32 | 11 | 8 | 13 | 39:33 | 41 |
| ტრევიზო | 32 | 9 | 14 | 9 | 35:36 | 41 |
| პესკარა | 32 | 11 | 8 | 13 | 34:41 | 41 |
| ლუკეზე | 32 | 10 | 9 | 13 | 31:40 | 39 |
| ფ. ანრია | 32 | 9 | 11 | 12 | 34:38 | 38 |
| მონცა | 32 | 7 | 16 | 9 | 39:44 | 37 |
| რავენა | 32 | 8 | 11 | 13 | 30:34 | 35 |
| ფოჯა | 32 | 8 | 10 | 14 | 39:46 | 34 |
| პადოვა | 32 | 7 | 12 | 13 | 23:38 | 33 |
| ანკონა | 32 | 6 | 12 | 14 | 36:52 | 30 |
| დი სანგრო | 32 | 4 | 15 | 13 | 33:52 | 27 |

## უეფას თასის ფინალი

# თასი იტალიაში. ან რომში, ანაც მილანში

„სტად დე ფრანსი“ აგებისთანავე ღირსშესანიშნავი თამაშებისთვის ყოფილა „განწირული“ — სულ რამდენიმე თვეა, მსოფლიოში ერთ-ერთმა ყველაზე ბრწყინვალე სტადიონმა თამაშების მასპინძლობა დაიწყო და უკვე საფრანგეთის თასის და ლიგის თასის ფინალების დაჭაშნიკება მოასწრო. ნაკრებიც ძირითადად აქ ხვდება მეტოქეთ, ზაფხულში კი „სტად დე ფრანსზე“ სულაც მსოფლიოს მე-16 ჩემპიონატის გადამწყვეტი მატჩი გაიმართება. და ეს ყველაფერი სულ რამდენიმე თვეში!

თუ სტადიონი მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის მასპინძლობის ღირსად სცნეს, ეს მის ბრწყინვალებასა და ულტრათანამედროვეობაზე მიუთითებს. „სტად დე ფრანსს“ კი ეს სიტყვები ნამდვილად შეეფერება. და მაინც, სანამ ივლისის დასაწყისში საფრანგეთის უპირველეს სარბიელზე მსოფლიოს ჩემპიონი გამოვლინდება, მანამ, უფრო სწორად კი ხვალ, უეფას თასის მფლობელი დადგინდება.

ხვალ, პარიზის „სტად დე ფრანსზე“ უეფას თასის მორიგი, წმინდა იტალიური ფინალი შედგება — რომის „ლაციო“ მილანის „ინტერს“ დაუპირისპირდება.

ეჭვი არაა, დაძაბული თამაში იქნება. მილანელები შარშანდელი წარუმატებლობის დაძლევას (წინა გათამაშებაში „ინტერმა“ უეფას თასი შინ, პენალტებით წააგო გელზერკირხენის „შალკესთან“) შეეცდება, რომაელებიც ყველაფერს იღონებენ პირველი ევროპული თასის მოსაგებად.

უეფას თასის გადამწყვეტ მატჩს მთელი მსოფლიოს პრესა გამოეხმაურა, მაგრამ რადგან ფინალი იტალიურია, ამჯერად მხოლოდ ამ ქვეყნის ჟურნალისტების ნააზრევს გაგაცნობთ:

„კორიერე დელა სერა“: „ევროტურნირებზე მიღწეული შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, ფავორიტი აშკარად „ინტერია“, მაგრამ საეჭვოა „ლაციო“ ამას უფრთხოდეს. დღესდღეობით სვენ გორან ერიკსონის გუნდი საკმაოდ ძლიერია და შესწევს უნარი, მოიგოს უეფას თასი.“

„გაძეტა დელო სპორტი“: „ტიტანთა ბრძოლა! მოახერხებს „ლაციო“ მეორე მილანურ მეტოქესაც წაჰგვაროს თასი? ძნელი სათქმელია, ისევე როგორც ძნელი შესასრულებელია.“

„ტუტოსპორტი“: „უეფას თასის წლევანდელი ფინალი თავისთავად მიუთითებს იმაზე, რომ ორივე გუნდი ევროპაში დღესდღეობით ამინდს ქმნის. შეუძლებელია გამარჯვებული იწინასწარმეტყველო. დაბეჯითებით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ შეხვედრა ნერვების დაწყვეტამდე დაძაბული იქნება.“

პრესა პრესად, გულშემატკივრები გულშემატკივრებად, მაგრამ მთავარი მაინც თავად მონაწილეთა აზრია.

კაცმა რომ თქვას, მეტოქენი წინასამატჩო საუბრითა და პროგნოზებით ჟურნალისტებს მაინც და მაინც არ ანებივრებენ. მეტიც, სავალდებულო, გათვალისწინებული პრესკონფერენციების გარდა მას-მედიასთან საუბრით თავს ზედმეტად არ იწუხებენ. ვერც გაამტყუნებ — ორივე გუნდისთვის გადამწყვეტი მატჩია, ძალიან მნიშვნელოვანი.

— ნესტამ ფინალშიც ისევე რომ ითამაშოს, როგორც ახლა, დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, ყველაზე დიდი პრობლემა, რონალდო მოგვეხსნება — ეს სიტყვები „ლაციოს“ მწვრთნელმა, შვედმა სვენ გორან ერიკსონმა ჩემპიონატში, „ინტერის“ 3:0 განადგურების შემდეგ წარმოთქვა. იმ შეხვედრაში რომაელთა ცენტრალურმა მცველმა ალესანდრო ნესტამ შესანიშნავად ითამაშა და თუ მსოფლიოს ორგზის საუკეთესო ფეხბურთელმა რონალდომ იმ თამაშში თავი ვერაფრით გამოიჩინა, ეს სწორედ ნესტას დამსახურებაა. ვნახოთ, ხვალ რა იქნება. ისე კი ამ ორი, ამპლუით განსხვავებული, მაგრამ უდავოდ ნიჭიერი და ძლიერი ფეხბურთელების დაპირისპირება ძალიან საინტერესო უნდა იყოს.

— ჩემი აზრით, „ლაციომ“ მოსაგები უკვე მოიგო. მათ ძალიან უნდა გაუჭირდეთ ჩვენი დამარცხება, თუმცა იგივე შემიძლია ვთქვა ჩვენზე. და მაინც, „ინტერისთვის“ თასის გარდა ხვალინდელ შეხვედრაში არაფერი იარსებებს. მხოლოდ გამარჯვება! — მილანელთა თავკაცი ლუიჯი ჯიჯი სიმონი „ინტერის“ თავკაცის რანგში პირველი ტიტულის მოგებას იმედოვნებს.

ალბათ, მიხვდით, რას გულისხმობდა სიმონი, როცა თქვა, „ლაციომ“ მოსაგები მოიგოო — რა თქმა უნდა, იტალიის თასს!

მილანში, მცველთა შეცდომის გამო 0:1 წაგებული შეხვედრის შემდეგ საკმაოდ ძნელი ჩანდა საპასუხო მატჩის სასურველად დასრულება, მაგრამ ბრწყინვალე 15-წუთეულმა „ლაციოს“ იტალიის თასი არგუნა. დედაქალაქელებმა პირველი მილანელი მეტოქე დაამარცხეს. ვნახოთ, ხვალ რა იქნება.

მაინც რითი აპირებს „ლაციო“ „ინტერის“ ძლევას? ტაქტიკით? ამ მხრივ არც მილანელები არიან ჯაბანნი, ხოლო თუ ცალკეული ფეხბურთელებით ვიმსჯელებთ, „ინტერის“ თანავარსკვლავედი გაცილებით შთამბეჭდავი იქნება. მიუხედავად ამისა, არც აწ უკვე იტალიის თასის მფლობელნი არიან „უვარსკვლავებოდ“ — პიერლუიჯი კაზირაგი, ალენ ბოკშიჩი, რობერტო მანჩინი, ვლადიმირ იუგოვიჩი, პაველ ნედველი და სხვები ის ფეხბურთელები არიან, კლუბს უდავოდ წარმატებული სეზონი რომ არგუნეს.

ახლა, როცა ფინალამდე ერთი ღამეღაა დარჩენილი, ეჭვქვეშ დადგა ლაციოელების — ალენ ბოკშიჩისა და ხოსე შამოტის თამაში. კაცმა რომ თქვას, სერია A-ში მიღებული ტრავმების გამო, ამათი უეფას თასის ფინალში მონაწილეობა მანამდეც საჭოჭმანო გახლდათ, მაგრამ გუშინ ეს საკითხი მაინც აქტუალურად დადგა. სავარაუდოდ „ლაციო“ ამ ორ ფეხბურთელს მოისაკლისებს, მაგრამ განა დიად გუნდებს ერთი და ორი ფეხბურთელი ქმნის? არამც და არამც.

ერთი სიტყვით, ხვალ უბრწყინვალეს „სტად დე ფრანსზე“ უეფას თასის ფინალი შედგება — ერთი ქვეყნის ორი კლუბი შეეჭიდება ერთმანეთს. დანდობაზე საუბარიც არაა.

ამბობენ, ძლიერი იმარჯვებსო. უეფას თასიც, ალბათ, ძლიერს დარჩება.

**პედი ეგნიუ**
**როიტერი**



სარბიელის არქივიდან

დაემატება იტალიის თასს უეფას თასი?

## ესპანეთი

კვირას ესპანეთის ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩი „ესპანიოლსა“ და სანტანდერის „რასინგს“ შორის ფრედ 1:1 დასრულდა. ამ შეხვედრაში არაფერი იქნებოდა აღსანიშნავი, რომ არა ერთი მოვლენა — ურუგვაელი ფერნანდო კორეას ბოლო წუთზე გატანილი გოლი „რასინგისთვის“ ქულის მომტანი, ხოლო ესპანეთის პირველი დივიზიონის ისტორიაში კი საიუბილეო, 50000-ე აღმოჩნდა. თურმე, ამ დღეს ესპანეთში დედის დღეც აღინიშნებოდა და მატჩისშემდგომ ინტერვიუში კორეამ ამ ფაქტს განსაკუთრებულად გაუსვა ხაზი: „50000-ე გოლის გატანა მართლაც საგმირო საქმეა. ეს მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა არა მარტო ესპანეთის ფეხბურთში, არამედ საერთოდ მსოფლიოს ნომერ პირველი თამაშის ისტორიაში. მე მსურს, ეს უდიდესი ფაქტი დავუკავშირო დღევანდელ დღეს და ჩემი გოლი ყველა დედას მივუძღვნა, განსაკუთრებით კი დედაჩემს“.

აქვე გთავაზობთ ესპანეთის ჩემპიონატში გატანილ საიუბილეო გოლებს:

| | |
|---|---|
| 1 | ხოსე პრატი (ესპანიოლი) 1929 წლის 10 თებერვალი |
| 1000 | ხუანიტო ეჩევარია (არენას დე გუეჩო) 1931 წლის 1 თებერვალი |
| 10000 | სესარ როდრიგესი (ბარსელონა) 1949 წლის 17 აპრილი |
| 20000 | რომარიო როდრიგესი (ატლეტიკო მადრიდი) ხოსე ანტონიო სალდუა (ვალიადოლიდი) 1961 წლის 29 იანვარი |
| 30000 | ენრიკე გალანი (ოვიედო) 1976 წლის 15 თებერვალი |
| 40000 | მიგელ ანხელ სოლა (ოსასუნა) 1988 წლის 24 აპრილი |
| 50000 | ფერნანდო კორეა (რასინგი სანტანდერი) 1998 წლის 3 მაისი |

## ფეხბურთის რუკასთან



**ხორვატიის** ჩემპიონატის მე-9 ტური: ზაგრები — ჰაიდუკი 3:3; დრაგოვილიაცი — კროაცია 0:2; ოსიეკი — ზადარკომერცი 2:1. 46 ქულით ლიდერობს კროაცია. 33 ქულით მეორეა ჰაიდუკი.

**იუგოსლავიის** პირველობის 31-ე ტური: ზემუნი — ბუდუჩნოსტი 0:0; ზელეზნიკი — პროლეტერი 2:3; რადი — ვოივოდინა —2:0; ჩუკარიჩკი — პარტიზანი 0:1; ჰაიდუკი (კულა) — ცრვენა ზვეზდა 0:1; მლადოსტი — ობილიჩი 0:2. 82 ქულით ლიდერობს ობილიჩი. მას მხოლოდ ქულით ჩამორჩება ცრვენა ზვეზდა.

**ინგლისის** ნაკრებისა და „მანჩესტერ იუნაიტედის" ვარსკვლავებმა პოლ სქოულზმა და ნიკი ბათმა გადაწყვიტეს, თავიანთი საფეხბურთო მომავალი „ალისფერ ეშმაკუნებს" დაუკავშირონ. ამის დასტურია ის, რომ სულ ახლახანს ფეხბურთელებმა იუნაიტედთან ახალ, შვიდწლიან კონტრაქტს მოაწერეს ხელი. მიუხედავად იმისა, რომ გასულ წელს სქოულზი და ბათი მხოლოდ ხუთწლიანი კონტრაქტების გაფორმებაზე იყვნენ ყაბულს, კლუბის თავკაცებმა იმდენი მოახერხეს, ინგლისელი ფანების კერპები უფრო გრძელვადიანი ხელშეკრულებით დაიტოვეს თავისთან. შეგახსენებთ, რომ მარტში „მანჩესტერ იუნაიტედმა" ზუსტად ასეთივე კონტრაქტი დაუდო ძმებ გარი და ფილ ნევილებს, ხოლო რაიან გიგზმა მხოლოდ ხუთწლიანზე განაცხადა თანხმობა. რაც შეეხება კიდევ ერთ ვარსკვლავს — დევიდ ბექჰემს, იგი მეტად თავშეკავებული აღმოჩნდა. ფეხბურთელის ხუთწლიან კონტრაქტს 2002 წელს გასდის ვადა და მანაც ხელმძღვანელების წინადადებაზე, თანაგუნდელების მსგავსად მოქცეულიყო, ჯერჯერობით უარის თქმა ამჯობინა.

**ჩეხეთის** პირველობის 26-ე ტური: ბანიკი — ვიქტორია (ჟიჟკოვი) 6:1; პეტრა — ვიქტორია (პლზენი) 2:0; კაუჩუკი — ტეპლიცე 0:1; ბობი — სიგმა 1:1; ჰრადეც კრალოვე — სპარტა 0:2; სლოვანი (ლიბერეცი) — ბოჰდანეცი 2:0; სლავია — ჩესკე ბუდეიოვიცე 1:0; დუკლა (პრაღა) — იაბლონეცი 1:3. 64 ქულით ლიდერობს სპარტა. 51 ქულით მეორეა სლავია.

**უნგრეთის** ჩემპიონატის 29-ე ტური: ფერენცვაროში — ზალაეგერშეგი 3:2; დებრეცენი — დიორ ეტო 1:2; ბეკეშჩაბა — ტიშაკეშკე 3:3; ჰალადაში — დიოსგიორი 1:2; შტადლერი — მტკ 0:1; ვაცი — სიოფოკი 1:1; ვიდეოტონი — კიშპეშტი 2:1; ბვსც — გასცერი 3:1. 64 ქულით ლიდერობს უპეშტი. 59 ქულით მეორეა ფერენცვაროში.

**ბულგარეთის** პირველობის 29-ე ტური. ეტარი — სპარტაკი (პლევენი) 0:2; დობრუჯა — ლიტექსი 1:1; ოლიმპიკი — სპარტაკი (ვარნა) 2:0; ლოკომოტივი (სოფია) — ლოკომოტივი (პლოვდივი) 2:3; ლევსკი (სოფია) — მეტალურგი 7:0; ლევსკი (კისტენდილი) — ნეფტოხიმიკი 2:1; მინიორი — სლავია 1:0; ბოტევი — ცსკა 3:1. 68 ქულით ლიდერობს ლიტექსი. 62 ქულით მეორეა დედაქალაქის ლევსკი.

**უკრაინის** ჩემპიონატის 23-ე ტური: დინამო — მეტალურგი (ზაპოროჟიე) 2:1; კარპატი — ტავრია 2:0; ჩერნომორეცი — კრივბასი 0:1; პრიკარპატიე — ნივა 1:1; ცსკა — ზირკა 1:1; მეტალურგი (დონეცკი) — მეტალურგი (მარიუპოლი) 1:0; დნეპრი — ვორსკლა 1:2; ტორპედო — შახტიორი 0:0. 50 ქულით ლიდერობენ დედაქალაქის დინამო და დონეცკის შახტიორი, თუმცა დინამოს 2 თამაშით ნაკლები აქვს.

**მალტაში** ქვეყნის ჩემპიონი გამოვლინდა. შაბათს უპრინციპულეს მატჩში „ვალეტამ" ლიდერი „ბირკირკარა" 2:1 დაამარცხა და ჩემპიონობა დაიბევა. ეს წარმატება „ვალეტასათვის" უცხო სულაც არ არის. კლუბს აქამდე 15-ჯერ მოუპოვებია ჩემპიონის ტიტული. შეხვედრას დიდი ვნებათაღელვა უძღვოდა წინ. „ბირკირკარას" არსებობის 50-წლიანი ისტორიის მანძილზე პირველი ჩემპიონობისათვის ფრეც ჰყოფნიდა მაშინ, როცა „ვალეტას" მხოლოდ გამარჯვება მოუტანდა სანუკვარ ჯილდოს. მატჩი „ბირკირკარასთვის" თითქოს ურიგოდ არ დაიწყო. ისინი ბევრს უტევდნენ და პენალტიც დაიმსახურეს, თუმცა ჯო ბრინკატისა და მეკარის დუელი ამ უკანასკნელის გამარჯვებით დასრულდა. გოლკიპერის გმირობით შეგულიანებულმა დედაქალაქელებმა თამაში გარდატეხა შეიტანეს და სადავეები მატჩის ბოლომდე არ გაუშვიათ ხელიდან. ანგარიში მე-20 წუთზე სტეფან ჯილიომ გახსნა და მართალია, ივან ზამიტმა 41-ეზე გაათანაბრა, „ვალეტას" ფეხბურთელებს საბოლოო გამარჯვებაში წამითაც არ შეპარვიათ ეჭვი. მეორე ტაიმში ჯო ზარბმა პენალტიდან მეორე გოლი გაიტანა და „ვალეტას" მე-16 გაჩემპიონება ამცნო პირთამდე სავსე „ტა-ქალის" სტადიონს.

**იაპონიის** ნაკრების თავდამსხმელ მასაში ნაკაიამას ბოლო სამი ტურის განმავლობაში ყოველ მატჩში სამ-სამი გოლი გაჰქონდა. თუმცა ყველაფერს აქვს დასასრული და ნაკაიამამაც შეწყვიტა ეს სერია, როცა შაბათს მისი „ივატა" სტუმრად 1:2 დამარცხდა „შიმიცუსთან". დასასრული ჰეთ-თრიქების ფეირვერკს დაუდგა, თორემ თავდამსხმელს გოლების გატანაზე ხელი არ აუღია. ამ მატჩშიც წაგებულთაგან ერთადერთი ბურთი ნაკაიამ შეაგდო და ახლა 17 გოლით ჯეი-ლიგის ბომბარდირთა შორისაა. „შიმიცუს" კი შეხვედრაში გამარჯვება ბრაზილიელი ფაბინიოს თავურმა მოუტანა. ამ დამარცხებით „ივატამ" ლიდერობა დაკარგა. მას ლიგის უხუცესმა გუნდმა (მოთამაშეთა საშუალო ასაკი 30 წელია) „ვერდი კავასაკიმ" გადაუსწრო მას შემდეგ, რაც შაბათს საპოროს „კონსადოლე" 3:1 დაამარცხა. სხვა მატჩები ასე დასრულდა: კაშიმა ანთლერსი — ბელმეარი (ჰირაცუკა) 1:0, ურავა რედ დაიმონდსი — გამბა (ოსაკა) 2:0, იოკოჰამა ფლუგელსი — კერზო (ოსაკა) 4:1, იოკოჰამა მარინოსი — პერპლ სანკა (კიოტო) 2:1, ავისპა (ფუკუოკა) — ვისელი (კობე) 3:1, ჰიროსიმა სანფრესი — ჯეფ იუნაიტედი (იშიჰარა) 3:1, გრამპუს ეითი (ნაგოია) — კაშივა რეისოლი 3:2.

**ანგოლაში** ამ ქვეყნისა და ზამბიის ნაკრებებმა ფრედ 1:1 ითამაშეს ქოსაფა ქესლის თასის გათამაშების მატჩში. ანგარიში 49 წუთზე სტუმარმა მასაუს ტემბომ გახსნა. მე-60-ზე კი ანგოლელმა ჩიჩანგალამ გაათანაბრა.

**თურქეთში** პოლიციამ ორი ექვმიტანილი დააკავა. მათ წინა ტურში „შექერსფორი" — „ფენერბაჰჩეს" შორის გამართულ მატჩში მასპინძელთა კარის დარაჯის მოქრთამვაში ედებათ ბრალი. „შექერსფორის" მეკარე მურატ აკარსუს განცხადებით, შეხვედრის დაწყებამდე მასთან ორი კაცი მივიდა და 100 ათასი დოლარი შესთავაზა. სანაცვლოდ გოლკიპერი „ფენერბაჰჩეს" ფეხბურთელებს გამარჯვების მოპოვებაში უნდა დახმარებოდა. შეგახსენებთ, რომ შეხვედრა ფრედ 1:1 დასრულდა, რამაც საბოლოოდ გადაწყვიტა თურქეთის ჩემპიონატის ბედი, რადგან „გალათასარაიმ" 4:1 დაამარცხა „ისთანბულსფორი" და ჩემპიონატის დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე ყველა იმედი მოუსპო მეტოქეებს.

**ტუნისში** ქვეყნის თასის მფლობელის ვინაობა გაირკვა. კვირას „აფრიკანსა" და „ობეას" შორის გამართულ ფინალში (სხვათა შორის, შეხვედრას საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებიც ესწრებოდნენ) გამარჯვებული მხოლოდ მატჩისშემდგომმა პენალტების სერიამ გამოავლინა. საფეხბურთო ლატარეაში ბედმა „აფრიკანს" გაუღიმა — 5:4. თავად მატჩი და დამატებითი დრო მეტად დაძაბულად წარიმართა და ფრედ 1:1 დასრულდა.

**პოლონეთის** პირველობის 27-ე ტური: ოდრა — ვიძევი 1:1; ზაგლებიე — პოლონია 0:1; ლეხი — გროცლინი 3:1; ვისლა — რაკოვი 3:0; გურნიკი — რუხი 2:0; ოსტროვიეცი — პოგონი 3:2; ლკს — სტომილი 3:1; ლეგია — პეტროხემია 3:0; გკს — ამიცა 0:0. 54 ქულით გათამაშებას ლიდერობს ლკს. 48 ქულით მეორე ადგილზეა პოლონია.

დარჩა
FRANCE 98
35 დღე

## ფუტიქსის დროშით
## უფრთხილდით იაპონიას



მსოფლიოს ჩემპიონატის მოახლოებასთან ერთად მონაწილე გუნდების მწვრთნელებმა მათი ნაკრებების შესაძლო პერსპექტივებზე კომენტარების გაკეთებას უხშირეს. იაპონელთა თავკაცის ასისტენტმა ტაკეში ონომ განაცხადა, ამომავალი მზის ქვეყნის ნაკრებმა კიდევ ბევრი რამ უნდა ისწავლოს, მსოფლიოს ფეხბურთში თავი შინაურულად რომ იგრძნოს.

— ყველასათვის ცნობილია, რომ წამყვანი ქვეყნები ჩვენზე ბევრად მაღლა დგანან, მაგრამ დარჩენილ დროში შევეცდებით, სწორად დავგეგმოთ, როგორ ვებრძოლოთ მათ — თქვა შეგულიანებულმა ონომ. მას შემდეგ რაც რიო-დე-ჟანეიროში გამართულ ბრაზილია — არგენტინის ამხანაგურ მატჩს უცქირა. ონოს არ დაუმალავს, რომ არგენტინელთა გამარჯვებამ მას [illegible] შთაბეჭდილება მოახდინა, მაგრამ იქვე აღნიშნა, ჩვენს მთავარ მწვრთნელ ტაკეში ოკადას უკვე შედგენილი აქვს მზაკვრული გეგმა და არგენტინელი თავდამსხმელების — გაბრიელ ბატისტუტას და კლაუდიო ლოპესის შეჩერება არ გაგვიძნელდებაო. შეგახსენებთ, რომ იაპონელებს ივნისში ჩემპიონატის H ჯგუფის პირველ მატჩში სწორედ დანიელ პასარელას აღზრდილებთან მოუწევთ დაპირისპირება. ოკადას სამხრეთ ამერიკელებთან სამი მცველით თამაში განუზრახავს. იაპონელთა თავკაცს ეს გადაწყვეტილება წინა თვეში ირლანდია — არგენტინის ამხანაგური შეხვედრის ხილვის შემდეგ მიუღია და თვლის, რომ ამ წყობით ყველაზე მომგებიანი იქნება მრისხანე არგენტინის წინააღმდეგ თამაში.

# თამაშებს ისრაელშიც აწყობენ

ისრაელის ფეხბურთის მამებს ახალი თავსატეხი გაუჩნდათ მას შემდეგ, რაც შაბათს ჩემპიონატის მორიგ ტურში იერუსალიმის „ბეითარმა" მეტად საეჭვო გამარჯვება მოიპოვა და პირველი ადგილი შეინარჩუნა.

ეჭვების საბაბი გახდა ბეით შეანის „ჰაპოელთან" 3:2 მოგებულ შეხვედრაში „ბეითარის" მიერ გატანილი მესამე გოლი. როგორც მატჩის შემდეგ ვიდეოჩანაწერის არაერთგზის განხილვამ ცხადყო, 2:2-დან მოყოლებული „ჰაპოელის" ფეხბურთელებმა შეგნებულად დათმეს ინიციატივა და მსაჯის მიერ დამატებულ დროში მეტოქეს გამარჯვების მომტანი გოლის გატანის საშუალება მისცეს. ახლა ბოლო ტურის წინ „ბეითარი" ქულით უსწრებს უშუალო მდევარს და ჩემპიონატის დასკვნით მატჩში წარმატების შემთხვევაში უძლიერესის ტიტულს შეინარჩუნებს.

ვარაუდობენ, თითქოს „ჰაპოელის" განზრახ მარცხი ეთნიკური სიამაყის გრძნობით იყო განპირობებული. საქმე იმაშია, რომ ბეით შეანის „ჰაპოელისა" და იერუსალიმის „ბეითარის" ფეხბურთელები და გულშემატკივრები ძირითადად შუა აღმოსავლური (სეფარდი) და აფრიკული წარმოშობის არიან, ხოლო თელ ავივის „ჰაპოელის" გუნდი კი ევროპული წარმოშობის (აშკენაზი) ებრაელებს მიეკუთვნება.

სეფარდები ჩივიან, რომ ათწლეულების მანძილზე განიცდიდნენ ჩაგვრას აშკენაზი ებრაელებისაგან და ეს შევიწროება დღესაც გრძელდება.

მატჩის ირგვლივ ატეხილმა აჟიოტაჟმა ისრაელში დიდი გამოხმაურება ჰპოვა. როგორც ყოველდღიური „მაარივი" იუწყება, ბეით შეანის ფეხბურთელები მუქარით სავსე წერილებს იღებენ უცნობთაგან, რომლებიც თავიანთ თავს თელ ავეველ ფანებს უწოდებენ.

ისრაელის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა გავრი ლევიმ კვირას მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ საეჭვო მატჩის ირგვლივ გამოძიება დაიწყო და შედეგები სავარაუდოდ პარასკევისათვის გახდება ცნობილი.

— ისრაელის ფეხბურთის ფედერაცია თვლის, რომ საჭიროა მოვლენების დაწვრილებით გამოძიება. მაღალპროფესიულ დონეზე უნდა გაშუქდეს მატჩის ჩანაწერი და გაირკვეს, თამაში მართლაც ჩაწყობილი იყო, თუ არა — განაცხადა ლევიმ ფედერაციის ხელმძღვანელების საგანგებოდ მოწყობილ შეკრებაზე.

აღსანიშნავია, რომ „ბეითარმა" გამარჯვების გოლი მსაჯის მიერ დამატებული დროის მეოთხე წუთზე გაიტანა, თუმცა საფინალო სასტვენი ამ მომენტიდან მხოლოდ 20 წუთის შემდეგ გაისმა. გოლით გახარებული გულშემატკივრები მოედანზე შეიჭრნენ და ამიტომ რეფერი ეიალ ცურს რამდენიმე წუთით მოცდა მოუხდა, სანამ შეხვედრის საბოლოო ანგარიშს დააფიქსირებდა.

**ირაკლი ხმელიძე**

# პარიზში და არა ბორდოში

გუშინ, მას შემდეგ, რაც ზედიზედ 4 წლის განმავლობაში „პარი სენ ჟერმენმა" წარუმატებლად იასპარეზა საფრანგეთის ჩემპიონატში, შეიცვალა კლუბის ხელმძღვანელობა. თანამდებობიდან განთავისუფლდნენ მთავარი მწვრთნელი, ბრაზილიელი რიკარდო და პრეზიდენტი მიშელ დენისო.

პსჟ-ს ახალი მწვრთნელი 1984 წლის შესანიშნავი საფრანგეთის ნაკრების წამყვანი მოთამაშე, „ჯადოსნური ოთხეულიდან" ერთ-ერთი — ალან ჟირესი იქნება. ამის შესახებ განაცხადა კლუბის ახალმა პრეზიდენტმა ჩარლზ ბიეტრიმ და ისიც დაამატა, ჟირესთან ალბათ 3-წლიანი კონტრაქტი გაფორმდებაო. იგი ოპტიმისტურად უყურებს მომავალს, რაც საფრანგეთის რადიოსათვის მიცემულ ინტერვიუშიც აღნიშნა: „პსჟ და მისი გულშემატკივრები დიდი ხანია, ელოდებიან გამარჯვებებით გამოწვეულ სიხარულს და მჯერა, რომ ამის უპირველესი გარანტი სწორედ ალან ჟირესი იქნება."

პარიზელთა ახალი თავკაცი კლუბში მუშაობას შემდეგი სეზონიდან შეუდგება.

**მოკლე ბიოგრაფიული ცნობები**

1952 — დაიბადა ბორდოს მახლობლად, ლანგორანში.
1964 — 12 წლის ასაკში ჩაირიცხა „ბორდოში".
1970 — დაიწყო მისი პროფესიული კარიერა „ბორდოში", რომელიც 16 წელს გაგრძელდა.
1982 — მოირგო ნაკრების მაისური.
1984 — მოიგო საფრანგეთის ჩემპიონატი და გახდა ევროპის ჩემპიონი.
1986 — „ბორდოსთან" ერთად მოიპოვა საფრანგეთის თასი და შემდეგ გადაეიდა „მარსელში".
1988 — დაემშვიდობა პროფესიონალურ ფეხბურთს.
1996 — დაინიშნა „ტულუზის" მთავარ მწვრთნელად.
1998 — იყო ერთ-ერთი კანდიდატი ემე ჟაკეს შემცვლელისა საფრანგეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე. დაინიშნა პსჟ-ს თავკაცად.

## ლატვია

მე-3 ტური. დინაბურგი — ვენტსპილსი 1:1; ვალმიერა — სკონტო 1:4; დაუგავა — მეტალურგსი 0:0; რეზეკნე — რანტო 2:2.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინაბურგი | 3 | 1 | 2 | 0 | 3:1 | 5 |
| დაუგავა | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 5 |
| მეტალურგსი | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 5 |
| სკონტო | 3 | 1 | 1 | 1 | 9:7 | 4 |
| რანტო | 3 | 0 | 3 | 0 | 5:5 | 3 |
| ვენტსპილსი | 3 | 0 | 3 | 0 | 2:2 | 3 |
| რეზეკნე | 3 | 0 | 2 | 1 | 4:5 | 2 |
| ვალმიერა | 3 | 0 | 1 | 2 | 1:6 | 1 |

## ესპანეთი

**მეორე დივიზიონი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალავესი | 40 | 23 | 10 | 7 | 50:23 | 79 |
| ესტრემადურა | 40 | 22 | 9 | 9 | 57:36 | 75 |
| ლას პალმასი | 40 | 19 | 15 | 6 | 70:42 | 72 |
| ვილიარეალი | 40 | 17 | 16 | 7 | 47:36 | 67 |
| ბადახოსი | 40 | 15 | 15 | 10 | 46:35 | 60 |
| სევილია | 39 | 16 | 9 | 14 | 43:42 | 57 |
| ლეიდა | 40 | 16 | 9 | 15 | 46:46 | 57 |
| ატლეტიკო | 40 | 15 | 11 | 14 | 61:48 | 56 |
| ეიბარი | 40 | 14 | 14 | 12 | 36:29 | 56 |
| ერკულესი | 40 | 14 | 12 | 14 | 46:43 | 54 |
| რაიო | 40 | 15 | 9 | 16 | 45:47 | 54 |
| ტოლედო | 40 | 13 | 14 | 13 | 40:43 | 53 |
| ლეგანესი | 40 | 13 | 14 | 13 | 43:49 | 53 |
| ოსასუნა | 40 | 13 | 10 | 17 | 35:39 | 49 |
| ორენსე | 40 | 12 | 13 | 15 | 37:43 | 49 |
| ალბასეტე | 39 | 12 | 10 | 17 | 38:50 | 46 |
| ნუმანსია | 40 | 10 | 15 | 15 | 31:48 | 45 |
| ლოგრონიესი | 40 | 9 | 16 | 15 | 34:42 | 43 |
| ელჩე | 40 | 10 | 12 | 18 | 43:53 | 42 |
| ხაენი | 40 | 8 | 17 | 15 | 35:49 | 41 |
| სერესი | 40 | 8 | 13 | 19 | 22:45 | 37 |
| ლევანტე | 40 | 8 | 11 | 21 | 36:53 | 35 |


# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

**უეფას თასის ფინალი**
6 მაისი
ინტერი — ლაციო (1,45-2,1) 2,0 2,9 3,4

**თასების თასი**
13 მაისი
ჩელსი — შტუტგარტი (1,45-2,1)

**ჩემპიონთა თასი**
20 მაისი
იუვენტუსი — რეალი (1,3-2,8)

**ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა**
5 მაისი
კრისტალ პალასი — ვესტ ჰემი 5,0 3,6 1,5
6 მაისი
ლივერპული — არსენალი 1,8 3,0 4,0

**ჰოლანდიის თასის 1/2 ფინალი**
7 მაისი
აიაქსი — ჰერენვენი 1,2 5,0 9,0

**ბელგიის ლიგის თასის ფინალი**
6 მაისი
ლომელი — ეკერენი 2,8 2,9 2,3

**ავსტრიის თასის 1/2 ფინალი**
5 მაისი
ადმირა — რიდი 2,5 2,9 2,5
შტურმი — ლინცერი 1,3 4,0 7,5

**ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი**
5 მაისი
იაპონია — ბელარუსი 9,0 5,6 1,1
გერმანია — ჩეხეთი 7,0 5,3 1,15
ავსტრია — სლოვაკეთი 5,6 5,3 1,2
კანადა — იტალია 1,05 8,0 10,0
6 მაისი
აშშ — შვედეთი 2,3 5,0 1,7
შვეიცარია — საფრანგეთი 1,7 5,0 2,3
ლატვია — ყაზახეთი 1,9 5,0 1,9
რუსეთი — ფინეთი 1,9 5,0 1,9

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი ქართული იმიჯი




ყოველივე ახალი კარგად დავიწყებული ძველია.

არსებობენ ფასეულობები, რომლებიც არასოდეს ძველდებიან, რომლებსაც მხოლოდ ივიწყებენ ხოლმე, როგორც რაღაც უმნიშვნელოს, ან თავისთავად ცხადსა და გასაგებს. მაგრამ გადის დრო და საჭირო ხდება მათი ხელახალი აღმოჩენა.

საჭირო ხდება, რადგან ყველაზე მყარი და საიმედო სწორედ ის არის, რაც მრავალგზის გამოცდილია და ახალი დროის გამოცდას კვლავაც გაუძლებს. ტრადიციული ფასეულობები ერთნაირად გვჭირდება ყველგან, შინ და გარეთ, ოჯახსა და სამსახურში, პირად ცხოვრებასა თუ საქმიან ურთიერთობებში.

ნდობა, თანამშრომლობა, საიმედოობა...

სწორედ ეს მარტივი პრინციპებია ის პირველმიზეზი, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს ყოველივე ჩვენს საქმიანობაში. მტკიცე საძირკვლის გარეშე კეთილდღეობა ისევე სწრაფად ინგრევა, როგორც ქვიშაზე ნაგები სახლი. ნებისმიერ წამოწყებას მხოლოდ მაშინ გააჩნია მომავალი, როდესაც იგი ურთიერთგაგებას ეფუძნება.

ფასეულობებს, რომლებიც შესაძლებელს ხდის ქართუს ნაწარმის შექმნას, ჩვენ თქვენგან ვიღებთ და განივთებული სახით ისინი ახლა თქვენთან ბრუნდებიან.

ძველად სჯეროდათ, რომ ნივთთან ერთად ნივთის იდეაც არსებობს. თუ ამას ვირწმუნებთ, მაშინ ჩვენ შევძლებთ, რომ ჩვეულებრივი საგნებით ჩვენს ყოფას სითბო და სინათლე შევმატოთ.

ქართუ

# გამარჯვებულის გამოცნობა ძნელია

**დღეს განახლდება საქართველოს პირველობის პლეი ოფის ფინალური სერიები პირველი და მესამე ადგილებისთვის. პირველი მატჩების შემდეგ შეიძლება წინასწარი დასკვნები გამოვიტანოთ.**



რამაზ გოგობერიშვილის სწრაფი გარღვევები ყოველთვის შედეგიანია

ჩემპიონობისთვის ბრძოლაში რუსთავის „აზოტსა“ და თბილისის „ვითას“ შორის ანგარიში თანაბარია. ფინალური სერიის წინ ფავორიტებად რუსთაველები ითვლებოდნენ. „აზოტმა“ ჩინებულად ჩაატარა წლევანდელი სეზონი და ფინალამდე მხოლოდ ორჯერ დამარცხდა. ამასთან, ჩემპიონატში „აზოტმა“ ორჯერვე მოუგო „ვითას“ ისე, განსაკუთრებული პრობლემები არ შექმნია.

რაც შეეხება ჩემპიონს, იგი წლევანდელ ჩემპიონატს თითქმის მთლიანად შეცვლილი შემადგენლობით ატარებდა და პირველობის მანძილზე უძლიერეს ხუთ გუნდს შორის არც გამოირჩეოდა, რეგულარულ პირველობაში კი „აზოტის“ გარდა „დინამომაც“ გაუსწრო და სულ მცირედით აჯობა მდევრებს — სდასუ-ს და თსუ-ს. ასეთ შედეგს „ვითას“ ხელმძღვანელობა სავსებით ნორმალურად აღიქვამდა. პრეზიდენტმა თემურ დათიკაშვილმა თავიდანვე გვითხრა, რომ გუნდი სეზონს შეთამაშებას მოანდომებდა, რვა საუკეთესოში მოხვედრა მისთვის პრობლემა არ იქნებოდა, პლეი ოფში კი ყველას გაუმართავდა ბრძოლას და ჩემპიონობასაც ადვილად არ დათმობდა.

მართლაც, „ვითაში“ ახალი მწვრთნელის, ზურაბ ტომარაძის მუშაობის შედეგი ცხადად ჩანს. გუნდმა სეზონის ბოლოს საგრძნობლად მოუმატა და ფინალისთვის უკვე „აზოტის“ ტოლ-სწორ მეტოქედ წარდგა. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ფსიქოლოგიური უპირატესობაც მათ მხარეს აღმოჩნდა, რადგან რუსთავის „აზოტმა“ წლის განმავლობაში ირწმუნა თავისი ლიდერობა და „ვითას“ ასეთმა წინააღმდეგობამ მოთამაშეები ერთობ გატეხა.

ახლა უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფინალში თანაბარი ძალის მეტოქენი არიან და გამარჯვებულის გამოცნობაც გაჭირდება. თუმც ჯერჯერობით „ვითა“ უკეთ გამოიყურება.

ორი ფინალური მატჩი ციფრებში ასე გამოიხატება:

შედეგიანობა ორი მატჩის ჯამში:

„აზოტი“: ჯაფარიძე — 52 ქულა, გოგობერიშვილი — 41, ბოისა — 33, ბერუაშვილი — 22, წიკლაური — 12, კიკვიძე — 9, გაბისონია — 3, კეჭაყმაძე — 2.

„ვითა“: აბრამიძე — 46, ტურაშვილი — 30, დავითულიანი — 26, კოკოლიშვილი — 23, ჩუბინიძე — 22, ორმოცაძე — 15, გაგნიძე — 8, კორძაძე — 7, ლოსაბერიძე — 6.

მართალია, ვერ იტყვი, რომ რუსთაველებს მოკლე სკამი აქვთ, მაგრამ მათი თამაში მაინც მნიშვნელოვანწილად ჯაფარიძესა და გოგობერიშვილზეა აწყობილი და თუ ეს ორი ლიდერი წყნარადაა და თავის საქმეს აკეთებს, გუნდიც აწყობილია. თუმცა უნდა ითქვას, რომ ლიდერობის თავის თავზე აღება ბოისასა და ბერუაშვილსაც შეუძლიათ, მაგრამ ამას რუსთაველები იშვიათად აკეთებენ.

„ვითას“ ასეთი გამოკვეთილი ლიდერები არ ჰყავს და გუნდის შედეგიანობაც უფრო თანაბრად ნაწილდება. მატჩის გარკვეულ მომენტში ნებისმიერმა მათგანმა შეიძლება იტვირთოს ლიდერობა და მეტოქისთვის ეს უფრო დიდ სიძნელეს წარმოადგენს — არ იცი, საიდან წამოვა საფრთხე.

თანამედროვე კალათბურთში შორეული, სამქულიანი ტყორცნების გარეშე შორს ვერ წახვალ. ამ მხრივ გუნდებს ორი მატჩის შემდეგ ასეთი მდგომარეობა აქვთ:

„აზოტი“ 11: გოგობერიშვილი — 5, კიკვიძე — 3, ბერუაშვილი — 2, ბოისა — 1;

„ვითა“ 8: აბრამიძე — 3, ტურაშვილი — 3, კოკოლიშვილი — 2.

რუსთაველთა უკანახაზელები სამქულიანი ტყორცნებით გამოირჩევიან, თუმცა ეს მათ ტანმაღალ მოთამაშეებსაც შეუძლიათ. რუსთაველთა შედეგიანობა ამ მხრივ მეტიც იქნებოდა, მაგრამ, ჯერ ერთი, მეორე მატჩის დასაწყისში დაშავდა ზაზა გაბისონია და მეორეც — „ვითამ“ ტემპიანი თამაში შესთავაზა მეტოქეს. ასეთ დროს კი შორიდან ზუსტად სროლა ძნელია.

ვითელებსაც ჰყავთ სნაიპერები: ტურაშვილი, კოკოლიშვილი, აბრამიძე, მაგრამ მათი ასეთი, შედარებით დაბალი შედეგიანობა განსაზღვრულიც იყო იმ თამაშის ხასიათიდან გამომდინარე, რომელიც „ვითამ“ შესთავაზა მეტოქეს. ვითელებმა, რომლებიც სიმაღლეში აგებდნენ, პირველ შეტევას მიანიჭეს განსაკუთრებული მნიშვნელობა, სანამ რუსთაველები დაცვაში პოზიციებს გაამაგრებდნენ. ამიტომაც „ვითამ“ ქულების მნიშვნელოვანი ნაწილი სწრაფი შეტევისას მოიპოვა.

ასეთ მატჩებში, როდესაც თამაში ქულა ქულაში მიდის, დიდი მნიშვნელობა აქვს საჯარიმოების ზუსტ ტყორცნას. რუსთაველებმა ორ მატჩში 38 საჯარიმოდან 31 გამოიყენეს, რაც ერთობ კარგი შედეგია, ვითელებმა კი 64-დან მხოლოდ 44 ჩააგდეს. საჯარიმოებში ასეთი მკვეთრი სხვაობა, ალბათ, მოთამაშეთა აქტიურობაზეც მიუთითებს. ვითელები უმეტესად ჯაფარიძესა და გოგიბერიშვილზე ჯარიმდებოდნენ. რამაზმა 13-დან 12 საჯარიმო შეასრულა ზუსტად, ირაკლიმ 14-დან — 10, ვითელთაგან ასეთი აქტიურები აბრამიძე და ტურაშვილი იყვნენ. მათი შედეგები ასეთია: ტურაშვილი 18-დან 15, აბრამიძე 16-დან 13. ვითელები საერთოდ მხოლოდ ოთხ (!) მოთამაშესთან ბრძოლაში დაჯარიმდნენ. მათგან კი ჯარიმებს ცხრავე კალათბურთელი ისროდა — ესე იგი, ყველა მოთამაშე მოქმედებდა აქტიურად.

დაბოლოს, ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: ადრეც ვთქვით, რომ რუსთაველთა თამაშზე მნიშვნელოვნად მოქმედებს მათი ნერვიულობა. ეს საგულისხმო ციფრებით გვინდა დავადასტუროთ — ირაკლი ჯაფარიძე პირველი მატჩის პირველ ნახევარში ერთობ ნერვიულობდა და თავისიანებს მხოლოდ 9 ქულა შესძინა. მეორე ტაიმში კი, როცა დაწყნარდა, 21 ქულა მიითვალა. მეორე მატჩში, პირიქით, ირაკლიმ პირველ ტაიმში მშვიდად ითამაშა და 16 ქულით გაზარდა თავისი გუნდის მონაგარი. მეორეში კი ნერვებს აჰყვა და 6 ქულაღა იკმარა. 15 ქულა 37-ის საპირისპიროდ — მე მგონი, დიდი ანალიზიც არ სჭირდება, სად ეძებონ რუსთაველებმა რეზერვი თამაშის გასაუმჯობესებლად.

რაც შეეხება მესამე ადგილისთვის მატჩს, აქ სდასუ ლიდერობს „დინამოსთან“ 2:0. დინამოელებს, რომელთაც ამ სერიისთვის ორი წამყვანი მოთამაშე — შენგელია და ხოშტარია გამოაკლდათ, რა თქმა უნდა, უჭირთ სდასუ-სთან თამაში, თუმცა საბოლოო ანგარიშები (74:81 და 75:76) დინამოელთათვის კატასტროფული არ ჩანს. ახალგაზრდა დინამოელები რამდენიმე გამოცდილ მოთამაშესთან ერთად თავს არ ზოგავენ, მაგრამ რა გასაკვირია, რომ ჯერჯერობით ოსტატობა არ ჰყოფნით.

სდასუ: სანაძე — 62 ქულა, გ. ჩხეიძე — 31, ნაცვლიშვილი — 21, რ. ჩხეიძე — 14, ოთიურიძე — 12, ჩერქეზიშვილი — 9, ახობაძე — 5.

დინამო: კილაძე — 46, ბეჟანიშვილი — 28, მაისურაძე — 26, ნინიაშვილი — 15, ნათაძე — 13, შანიძე — 9, მეჭურჭლიშვილი — 8, ჩიქოვანი — 4.

დინამოელების ლიდერობა ისევ გამოცდილმა მოთამაშეებმა იკისრეს. კილაძემ ეს მატჩები ჩინებულად ითამაშა. მაისურაძე და ბეჟანიშვილიც კარგები იყვნენ, მაგრამ ისე მაინც ვერ ითამაშეს, მათგან რომ ელიან. ახალგაზრდებში გამოირჩეოდა შანიძე, მაგრამ იგი პირველ მატჩში დაშავდა და გუნდს გამოაკლდა. კარგად ითამაშა ჭაბუკმა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ნინიაშვილმაც, მაგრამ სდასუ-ს უკანა ხაზმა „დინამოს“ დაცვა დაშალა. პირველი მატჩი შესანიშნავად ჩაატარა გიორგი ჩხეიძემ, ხოლო გია სანაძე ისეთ ფორმაში შევიდა, მისი გაჩერება ახალგაზრდა დინამოელებს კი არა, ბევრ გამოცდილ კალათბურთელსაც გაუჭირდებოდა.

სამქულიანებში გუნდებს ასეთი შედეგები აქვთ:

სდასუ 15: სანაძე — 11, გ. ჩხეიძე — 1, ჩერქეზიშვილი — 1, ოთიურიძე — 1, ახობაძე — 1.

დინამო 7: ბეჟანიშვილი — 4, ნათაძე — 2, კილაძე — 1.



გია სანაძე დინამოელებმა ვერც ერთ მატჩში ვერ შეაჩერეს

სანაძემ 11 სამქულიანით ორივე მატჩში, ფაქტობრივად, დაანგრია დინამოელთა ზონური დაცვა და ამ პირობებში, როდესაც ოთიურიძემ თავის შესაძლებლობაზე უარესად ჩაატარა მატჩები, სწორედ მისმა შორეულმა ტყორცნებმა განაპირობა სდასუ-ს გამარჯვება. სანაძის დევნაში დინამოელებს დაცვაში სუსტი ადგილები გამოაჩნდათ და სხვა სტუდენტებმაც ამით ისარგებლეს.

რაც შეეხება დინამოელებს, გასაკვირია, რომ ორ მატჩში მაისურაძემ ვერც ერთი სამქულიანი ვერ ჩააგდო. ვერ გამოიჩინა ამ მხრივ თავი ჩიქოვანმაც, რომლისგანაც მოსალოდნელი იყო, რომ ხოშტარიას არყოფნაში კარგად შეეწყვილებოდა მაისურაძეს. უამისოდ კი ახალგაზრდებს მარტო ფართან კარგი თამაშით გაუჭირდებათ დინამოელთათვის გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვება. ასე რომ, სდასუ ახლოა მიზანთან, საქართველოს ჩემპიონატის მესამე ადგილთან.

მოკლედ, იმედს ვიტოვებთ, რომ სერიაში საინტერესო ჯერ კიდევ წინაა.

**გია აგლაძე**

**ზურამ დოლენჯაშვილის ფოტოები**

პირველი წრე

# დრექსლერი: ის აღარა ვარ, წავედი!

3 მაისი

**იუტა 3 ჰიუსტონი 2**

**იუტა 84:70 ჰიუსტონი**

**იუტა:** სტოქტონი (4), ჰორნაჩეკი (15), რასელი (10), მელოუნი (31), ფოსტერი (6), ოსტერტაგი (6), ანდერსონი (2), მორისი (2), კარი, კიფი, ვონი

**ჰიუსტონი:** მელოუნი (7), დრექსლერი (6), ელი (6), უილისი (16), ოლაჯუონი (15), ჰარინგტონი (10), ჯონსონი (8), ბალარდი (2), პრაისი, ჯონსი, როუდზი

იუტას შინ, სოლტ ლეიკ სიტიში ძლევა, ფაქტობრივად, შეუძლებელია. „იუტა ჯაზს“ ლიგაში ყველაზე თავგამოდებული მაყურებელი ჰყავს, რომლისთვისაც არა აქვს მნიშვნელობა იმას, ჯაზი პლეი ოფის ფინალში თამაშობს თუ ლიგის აუტსაიდერს ანადგურებს. 19 911 კერპთაყვანისმცემელი ყოველთვის ავსებს „დელტა ცენტრს“ და კერპნიც იშვიათად აწბილებენ მათ. შინ მეოთხე შეხვედრის წაგების შემდეგ ჰიუსტონელებმა კარგად უწყოდნენ, ვისთან უწევდათ სტუმრობა. მატჩის დაწყება და ბოლო ხანს ერთობ დაჭაბუნებული ბებერი ბარკლის გარეშე მოთამაშე ჰიუსტონელების დაწიოკება ერთი იყო — ორიოდ წუთში იუტა 15:4 დაწინაურდა, საწყისი მეოთხედი კი 21:14 მოიგო. სტუმრებმა, ნუ დავუკარგავთ, ძალების მოკრებაც შეძლეს და საკმაო ხანს დაწინაურებაც, მაგრამ აქ მესამე მეოთხედში, ხუთი ზუსტი სროლით გაიბრწყინა კარლ მელოუნმა და ბოლო მეოთხედში 15-ქულიანი უპირატესობით შეაბიჯებინა თავისიანებს. მერეც ბევრს ეცადა ლიგის 1994 და 95 წლების ჩემპიონი, მაგრამ იუტელთაგან ახლა სათადარიგო ცენტრი გრეგ ოსტერტაგი გადაირია: ეს თეთრკანიანი დევი ფარქეშ გაიბოტა და სტუმრებს ხუთჯერ (თამაშში სულ შვიდჯერ) დაუფარა ნასროლი. ერთი სიტყვით, ჰიუსტონი ბოლო ექვს წელიწადში პირველად გამოეთიშა ჩემპიონობისთვის ბრძოლას საწყისსავე ეტაპზე. ეს დღე ჰიუსტონელებს იმითაც დაამახსოვრდებათ, რომ კალათბურთიდან წავიდა ერთ დროს ლიგის ერთ-ერთი უძლიერესი მოთამაშე კლაიდ დრექსლერი — 1990 და 1992 წლებში პორტლენდის ფინალში გამყვანი, 1995 წელს კი ოლაჯუონთან ერთად ჰიუსტონისთვის ჩემპიონობის მომტანი. მაყურებელმა მქუხარე, ხანგრძლივი ოვაციებით გააცილა ღვაწლმოსილი და დამაშვრალი კაცი, რომელმაც 13-ჯერ ესროლა და ერთი ჩააგდო, ექვსი საჯარიმოდან კი ექვსივე ააცილა.

**ნიუ იორკი 3 მაიამი 2**

**მაიამი 81:98 ნიუ იორკი**

**მაიამი:** ჰარდევეი (21), ლენარდი (7), მაშბურნი (14), ბრაუნი (18), კოზველი, სტრიკლენდი (9), მერდოკი (6), მილზი (4), კონლონი (2)

**ნიუ იორკი:** უორდი (7), სტარქსი (22), ჰიუსტონი (30), ოკლი (18), კამინგსი (5), უილიამსი (12), ჩილდსი (2), ბოვი (2)

შარშანდელ პლეი ოფში მაიამიმ ნიუ იორკის კლანჭებიდან თავის დახსნა მეტოქის რამდენიმე წამყვანი მოთამაშის დისკვალიფიკაციის წყალობით შეძლო, წლეულს კი პირიქით მოხდა: წინა თამაშში ერთმანეთთან ძიძგილაობისთვის მაიამელი მურნინგი და ნიუიორკელი ჯონსონი ორ-ორი თამაშით დასვენეს, თან ამათ კიდევ ერთი ნიუიორკელი კრის მილზიც მიაყოლეს ჩხუბისას სათადარიგოთა სკამიდან წამოხტომისთვის. მაგრამ თუ სტუმრებმა ორი თავდამსხმელის გამოკლება თითქმის არ დაიტყვეს, მასპინძლებს მურნინგის გავარდნა პლეი ოფიდან გავარდნად დაუჯდათ. უმურნინგო მაიამის ფარზე ხეირიანად მოთამაშეთაგან მხოლოდ ფი ჯეი ბრაუნი შერჩა, სწორედ ის, ვინც შარშან ჩხუბი წამოიწყო. იგი, ეულო, ვერ გაუმკლავდა ოკლის (13 მოხსნა) და უილიამსს (14 მოხსნა), თუმცა არც მისი უკანახაზელი



კიდევ ერთი დიდი წავიდა: დამშვიდობება კლაიდ დრექსლერთან

თანაგუნდელები ბრწყინავდნენ — ტიმ ჰარდევეის ანაბარა დარჩენილ მაიამის ბებერი სტარქსი და ახალგაზრდა ჰიუსტონი, რაც მოეპრიანებოდათ, იმას უშვრებოდნენ. ნიუ იორკმა თავიდანვე იძალა და პირველ ტაიმში ერთი ხანობა 18 ქულითაც დაწინაურდა. მეორე ნახევარში მასპინძლები აფეთქდნენ, ტიმ ჰარდევეიმ თავი გაიგიჟა და მაიამი 21:3 გაიქცა. ჰარდევეის კიდევ ერთი სამქულიანის შემდეგ სხვაობა ორ ქულამდე შემცირდა 70:72, მაგრამ ნიუ იორკი ისევ მოყოჩაღდა, ინიციატივა დაიბრუნა და ადვილადაც შეძლო მესამე გამარჯვება. „ჩვენი შეხვედრა მძიმეწონოსან მოკრივეთა შერკინებას გავდა. უძნელესი თამაში მოვიგეთ, ვიმედოვნებ, არა უკანასკნელად“ — მატჩის შემდეგ სიხარულს ვერ მალავდა ვეტერანი ჯონ სტარქსი. ამგვარად, ნიუ იორკმა, როგორც ბოლო წლებში სჩვევია, ახლაც მოახერხა პირველი ეტაპის დაძლევა, ამასთან, NBA-ს ისტორიაში იგი ერთადერთი აღმოსავლელია, მეორე ნომრად განთესილი გუნდი ნაადრევად რომ გააპანღურა პლეი ოფიდან.

მეორე წრე

# სხვები რომ მიდიოდნენ, ჩიკაგო მოდიოდა!

**ჩიკაგო 1 შარლოტი 0**

3 მაისი

**ჩიკაგო 83:70 შარლოტი**

**ჩიკაგო:** ჰარპერი, ჯორდანი (35), პიპენი (25), კუკოჩი (5), როდმანი (7), კერი (6), ბარელი (5), ლონგლი, სიმპკინსი, ბრაუნი

**შარლოტი:** უესლი (11), ფილზი (8), რაისი (25), მეისონი (6), დივაცი (12), კარი (3), რიდი (3), არმსტრონგი (2)

პირველი ეტაპი ხეირიანად არც ჩამთავრებულიყო, რომ ჩიკაგომ მეორე წრეც დაიწყო და გაიმარჯვა კიდეც. წელს ჩიკაგო ერთადერთია, მეორე წრეში გასასვლელად მინიმუმი — სამი მატჩი რომ დასჭირდა. ხარები პირველ შეხვედრებს იოლად უსწორდებიან, ბოლო წლებში ამათგან მხოლოდ მათმა იმდღევანდელმა მეტოქე შარლოტმა მოახერხა ემარჯვა, ისიც 1995 წელს, როცა ჯორდანი ახალდაბრუნებული იყო. შარლოტი კი თავის ისტორიაში სულ მეორედ გადის კონფერენციის ნახევარფინალში და აქაც ჩიკაგოს გადაეყარა. ამ მატჩში ატლანტასთან შეხვედრების გმირი ენტონი მეისონი ჩრდილში მოექცა. მას აშკარად გაუჭირდა დენის როდმანთან (14 მოხსნა) ბრძოლა. ვერ გაილაღა გლენ რაისმაც: 25 ქულა კი შეაწია თავისიანებს, მაგრამ სკოტი პიპენის მარწუხებში მოქცეულმა 25 სროლიდან მხოლოდ 9 ჩააგდო. „ძალიან ბევრი სროლა გავაცუდეთ, ამდენი მთელ სეზონში არ აგვიცილებია და აკი დავისაჯეთ კიდეც“ — დაიწუწუნა რაისმა. ამგვარად, ჩიკაგომ სერია იოლი გამარჯვებით დაიწყო, რაც მის თავკაც ფილ ჯექსონისთვის მე-100-ა პლეი ოფებში. ჯექსონმა გაუსწრო ბოსტონის ლეგენდარულ მწვრთნელ რედ აუერბახს და მხოლოდ ნიუ იორკისგან გაბითურებული მაიამის დამრიგებელ პატ რაილის ჩამორჩება, ვისაც პლეი ოფებში 146 თამაში მოუგია.

**ირაკლი ფირაშვილი**

პლეი ოფი. პირველი წრე

# ლიგაში დემოკრატიაა

**კვირას გამართულმა შეხვედრებმა მეოთხედფინალის შვიდი მონაწილე გამოავლინა. მხოლოდ ერთი წყვილი — კოლორადო-ედმონტონი გამართავს მეშვიდე მატჩს. აღმოსავლეთიდან სამი ფავორიტი გამოეთიშა ასპარეზობას — ნიუ ჯერსი, ფილადელფია და პიტსბურგი. მეორე რაუნდში ვაშინგტონი ოტავას შეებრძოლება, ბუფალო — მონრეალს.**

## აღმოსავლეთი

**მონრეალი 4 პიტსბურგი 2**

3 მაისი

**მონრეალი — პიტსბურგი 3:0**

**(0:0, 2:0, 1:0)**

**შაიბები: რექი 3 (1:0), ჰოგლუნდი 2 (2:0), კოივუ 1 (3:0)**

აღმოსავლეთში ნამდვილი სენსაცია მოხდა — პირველად და მესამედ განთესილ ნიუ ჯერსის და ფილადელფიას მეორე ნომერი პიტსბურგიც მიჰყვა. თანაც ვერავინ იტყვის, სერიის ანგარიში კანონზომიერი არ იყოო. მონრეალი პირველივე თამაშიდან ფლობდა უპირატესობას და არც უკანასკნელ, მეექვსე შეხვედრაში დაუტოვა შანსი პიტსბურგს. ამ დამაჯერებელი გამარჯვების შემდეგ კანადელები იმედიანად უყურებენ მომავალს. მათი კაპიტნის, ვინსენ დამფუსის თქმით, ამჟამად ლიგაში ყველაფერია მოსალოდნელი. სამი განთესილის გავარდნა იმას ნიშნავს, რომ ნჰლ-ში ძალები გათანაბრდა.



**პიტსბურგელი იარომირ იაგრი: წაგებული და დარცხვენილი**

მონრეალი 1993 წლის შემდეგ პირველად გავიდა პლეი ოფის მეორე რაუნდში.

**ვაშინგტონი 4 ბოსტონი 2**

3 მაისი

**ბოსტონი — ვაშინგტონი 2:3**

**(0:1, 1:1, 1:0, 0:1)**

**შაიბები: ზედნიკი 1 (0:1), სამსონოვი 2 (1:1), ოუთსი 3 (1:2), კარტერი 1 (2:2), ბელოუზი 2 (2:3)**

პლეი ოფში წარმატების უპირველესი საწინდარი რომ მეკარის საიმედო თამაშია, ეს ვაშინგტონელმა ოლაფ კოლციგმა ერთხელ კიდევ დაამტკიცა ბოსტონთან სერიის უკანასკნელ, მეექვსე შეხვედრაში. მან 17 დარტყმა მოიგერია და სწორედ ამის წყალობით გადარჩა მისი გუნდი ძირითად დროში. საქმე ოვერტაიმამდე მივიდა. იქ კი ბედმა ვაშინგტონელებს გაუღიმა.

**დეტროიტი 4 ფინიქსი 2**

3 მაისი

**ფინიქსი — დეტროიტი 2:5**

**(1:1, 1:3, 0:1)**

**შაიბები: რენიკი 5 (1:0), აიზერმანი 1 (1:1), ტკაჩუკი 3 (2:1), შენაჰანი 2 (2:2), შენაჰანი 3 (2:3), ფიოდოროვი 5 (2:4), ჯილკრისტი 1 (2:5)**

ფინიქსმა ეს სერია მეოთხე მატჩისას წააგო, როცა მეკარე ოსგუდის წინა სამ შეხვედრაში უხეირო თამაშის გამო დეტროიტელები ოდნავ დაიბნენ, „კოიოტებმა“ კი ეს შანსი ვერ გამოიყენეს. გარდა ამისა, მათ წამყვანი მეკარე ნიკოლაი ჰაბიბულინიც დაკარგეს ტრავმის გამო, მისმა შემცვლელმა ჯიმი უეიტმა კი ყველაფერი იღონა, მაგრამ დეტროიტელების მუდმივ შეტევებს ვერ გაუძლო. ბოლო მატჩში მასპინძლები ორჯერ გავიდნენ წინ, მაგრამ ფავორიტების უპირატესობა მაინც აშკარა იყო. საბოლოოდ „კოიოტებმა“ ფარ-ხმალი მაშინ დაყარეს, როცა ფიოდოროვმა შემთხვევითი გოლი გაიტანა. მისი დარტყმული ჯერ კარს უკან ბორტს მოხვდა, მერე რომელიღაც მცველს და მხოლოდ ამის შემდეგ გაეხვა ბადეში.

**სამველ ლარიბიანი**

## მსოფლიოს ჩემპიონატი

# რუსმა რუსულად იმსაჯა

მსოფლიოს ჩემპიონატის პირველ დღეს ლამის სკანდალი იტყდა. კანადელთა ხელმძღვანელობის აზრით, მათი და ავსტრიის გუნდების თამაში არაკვალიფიციურად იმსაჯეს. კანადელთა მწვრთნელ ენდი მიურეის თქმით, რუსი არბიტრი ვალერი ბოკარევი ზედმეტად მისდევდა წესებს და უმნიშვნელო დარღვევის გამო სჯიდა მის შეგირდებს. „ეს ძალიან სასტიკი მსაჯობაა და თუ მათ სურთ, რომ არაევროპულ გუნდს არ მისცენ ჩემპიონობის შანსი, კეთილი, მაგრამ ასეთ პირობებშიც შევეცდებით ჩვენი ოსტატობის გამოვლენას“ — განმარტა მატჩის შემდეგ მწვრთნელმა, რომელიც თამაშის დროსაც არ მორიდებია მსაჯების კრიტიკას. მიუხედავად ამისა, „ნეკერჩხლის ფოთლებმა“ სლოვაკებთანაც ძალოვნად ითამაშეს, მაგრამ ამის მიზეზიც ჰქონდათ: სლოვაკებმა პირველ პერიოდში კანადელთა ერთ-ერთი ლიდერი ნელსონ ემერსონი მძიმედ დააშავეს, მისმა თანაგუნდელებმა კი შური იძიეს. ამჯერად არბიტრები უფრო მოწყალენი იყვნენ.

# გრანდებს ჩაჩოჩება მოუწევთ

ყველასთვის კარგად არის ცნობილი, რომ მსოფლიოს ჰოკეიში 6 გრანდია, მაგრამ საფინალო ეტაპზე 8 გუნდი გადის. ამიტომ დანარჩენ პრეტენდენტებსაც საკმაო ყურადღება ეთმობათ. ჯერჯერობით ყველაზე კარგ შთაბეჭდილებას სლოვაკები ტოვებენ. მიუხედავად იმისა, რომ კანადელები მათ გამუდმებით უტევდნენ, მხოლოდ 35-ე წუთზე შეძლეს ბრწყინვალედ მოთამაშე სლოვაკი მეკარის სიმონოვიჩის კარის დალაშქვრა. მაშინ კი, როცა ყველას ეგონა, კანადელებს გამარჯვება აღარ გაუჭირდებათო, ევროპელებმა ორი სწრაფი ხეირიანი კონტრშეტევა განახორციელეს და რომ არა გამოცდილი პრიმოს ზუსტი დარტყმა, ოკეანის გაღმელები სირცხვილს ვერ ასცდებოდნენ. ბელარუსის გუნდი კი, როგორც ჩანს, უახლოეს მომავალში ელიტაში თუ ვერ შეაბიჯებს, მას ძალიან მიუახლოვდება. მათ ჩეხებს ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს და დაცვის ერთადერთი უხეში შეცდომა რომ არა, იქნებ ფრეც გაეხერხებინათ.

# კანადელები ლინდროსს ელიან, ჩეხები — იაგრს

ტურნირის ფავორიტებს მეორე ეტაპზე გასვლასთან ერთად სტენლის თასისთვის ბრძოლის მიმდინარეობაც ძალიან აინტერესებთ. თითოეულ მათგანს ორი-სამი თავისუფალი ადგილი აქვს შემონახული და პირველ რაუნდში გავარდნილი გუნდებიდან დამხმარეებს ელიან. კანადელებმა უკვე მოასწრეს გუნდის გაძლიერება. მათ ლოსანჯელესელი ბლეიკი და მიურეი შეემატათ. პირველი წლეულს ნჰლ-ის ჩემპიონატში ერთ-ერთი საუკეთესო მცველი იყო. იმასაც ამბობენ, რომ მოსალოდნელია, მათ ფილადელფიელი ერიკ ლინდროსიც შეუერთდეთ, რომელმაც წელს ვერაფრით გამოიჩინა თავი და მისი გუნდიც ნაადრევად გამოეთიშა პლეი ოფს.

ჩეხები, რომელთა რიგებშიც მხოლოდ ორი ნჰლ-ელია (აილენდერსელი რობერტ რაიხელი და ტორონტოელი მარტინ პროჰაზკა), დიდ იმედს ამყარებენ პიტსბურგელ სუპერფორვარდ იარომირ იაგრთან მოლაპარაკებაზე. თავიანთი გეგმები აქვთ რუსებს, შვედებს და აშშ-საც.

ამასობაში იმავე კანადელებმა და ჩეხებმა დანაკლისიც განიცადეს. გარდა ემერსონისა, „ნეკერჩხლის ფოთლებმა“ ფორვარდი ზამუნერი დაკარგა, ხოლო ჩეხებმა — ოლიმპიური ჩემპიონები, ირჟი დოპიტა და ძირითადი გოლკიპერი რომან ჩეხმანეკი.



# ცა გერმანიის თავზე

**მიუნხენი. გერმანია. BMW-ის ღია პირველობა. ტარდება თიხნარზე.**

**საპრიზო 525 ათასი $**

**მეოთხედფინალი: ანდრე აგასი (8, აშშ) — იონას ბიორკმანი (2, შვედეთი) 6:2, 6:2; გალო ბლანკო (ესპანეთი) — ტომას ნიდალი (შვედეთი) 7:5, 5:7, 7:6 (7:1); ტომას ენკვისტი (7, შვედეთი) — ოლივერ გროსი (გერმანია) 6:3, 6:3; მაგნუს გუსტაფსონი (შვედეთი) — ნიკოლა ესკუდე (საფრანგეთი) 6:3, 6:1**



**ტომას ენკვისტი**

როდესაც შუა თამაშში მეხი გავარდება, ეგ არაფერი, მაგრამ როდესაც ამით შეშინებული სუპერვარსკვლავი უკან ამოგეფარება, როგორც აღმოჩნდა ბევრის მოთმინებას შეიძლება მოეღოს ბოლო. „მან რაღაც გერმანულად წამოიყვირა, ალბათ ხელი არ მახლო, გამეცალეო“ — ასე ახსნა ანდრე აგასიმ მოგვიანებით, რა მოჰყვა ხუმრობით გვერდითი მსაჯის უკან ჩაცუცქვას. ისე, იქნებ, სჯობს კიდეც, ანდრე უცხო ენებთან ცოტა მწყრალად რომ არის, თორემ საყოველთაოდაა ცნობილი, გერმანელები იუმორზე მეტად ერთობ შთამბეჭდავი გინების არსენალით რომ გამოირჩევიან.

სხვაფრივ ზემოხსენებულ ინციდენტს, რომელიც აგასის იონას ბიორკმანთან შეხვედრის მეორე ხელის დასაწყისში მოხდა, მატჩის ბედზე არანაირი გავლენა არ მოუხდენია — ამერიკელი ისეც იოლად ამარცხებდა ტურნირზე მეორედ განთესილ შვედს და დიდი გაწამაწია არც მერე დადგომია — 6:2, 6:2, თანაც სულ რაღაც 58 წუთში: „კარგია, როცა საუკეთესო ათეულელს ხვდები, რადგან ამით საკუთარი თამაშის დონის განსაზღვრა შეგიძლია. ასე იოლად გამარჯვება ჩემს თავდაჯერებას ნამდვილად წაადგება. კორტზე როდესაც გავდივარ, უკვე თითოეული მატჩის მოგების სურვილით ვიწვი“.

აგასის სანახევარფინალო მეტოქეს — გალო ბლანკოს კი ამ დღეს სახელოვან ამერიკელზე სამჯერ მეტი ხანი მოუწია გარჯამ — ვეტერანი ტომას ნიდალის დამარცხება მან მხოლოდ მესამე ხელის ტაი-ბრეიკზე მოახერხა.

**ნახევარფინალი: აგასი — ბლანკო 6:4, 6:4; ენკვისტი — გუსტაფსონი 6:3, 6:4**

ნახევარფინალებში ყველაფერი წესის და რიგის მიხედვით მოხდა — ფავორიტებმა იოლად გაიმარჯვეს, თანაც ამისთვის ბევრი ოფლის ღვრა კი არა, მხოლოდ ხუთი საათი ლოდინი მოუწიათ — მიუნხენში წვიმდა. აგასიმ, რომელმაც კაცებიდან წლეულს პირველმა უწია 30 მოგებას, მატჩის შემდეგ ამ კვირაში მიმდინარე ჰამბურგის ტურნირზე გამოსვლა იუარა, ოღონდ სხვებისგან განსხვავებით, თავის გადაწყვეტილებებს ათასგვარი მოგონილი ტრავმით რომ ამართლებენ, მეტად ორიგინალური მიზეზიც მოიყვანა — იქ ძალიან ცივაო.

**ფინალი: ენკვისტი — აგასი 6:7 (4:7), 7:6 (8:6), 6:3**

უკეთეს ფინალს ტურნირის ორგანიზატორები ვერც ინატრებდნენ — წარუმატებელი სეზონის შემდეგ ორმა შესანიშნავ ფორმაში მყოფმა ჩოგბურთელმა მაყურებლებს ორ საათნახევრიანი სანახაობა აჩუქა. აგასის სეზონში მესამე ტურნირისა და კარიერაში მე-500 მატჩის მოგებამდე მეორე სეტის ტაი-ბრეიკზე ორი ქულა აკლდა, მაგრამ სკანდინავებს მნიშვნელოვან მომენტებში აუღელვებლობა არავისგან ესწავლებათ და ენკვისტმაც რთულ სიტუაციას მძლავრი მოწოდებითა და ზუსტი ფორჰენდით დააღწია თავი, მესამე სეტში კი მისი მეტოქე უკვე გადაღლილი ჩანდა.

„როცა საჭირო იყო, რისკს არ ვერიდებოდი, ანდრეს დამარცხება მხოლოდ ასე შეიძლება. თიხნარზე დიდი მიღწევები არასოდეს მქონია, ამიტომ როლან გაროსის წინ ეს გამარჯვება კარგის ნიშანია“ — განაცხადა ენკვისტმა, რომელსაც ფინალებში არაჩვეულებრივი შედეგი — 13 გამარჯვება და მხოლოდ ორი მარცხი გაუხდა. აგასის კი, 1990-91 წლებში როლან გაროსის ფინალისტობის მიუხედავად ევროპულ სათიხნარო ტურნირზე უკვე ათი წელია, არ მოუგია.

**დულუტი. აშშ. AT&T-ის პირველობა. ტარდება თიხნარზე.**

**საპრიზო 345 ათასი $**

**მეოთხედფინალი: პიტ სამპრასი (1, აშშ) — რამონ დელგადო (პარაგვაი) 7:6 (8:6), 7:6 (7:3); ანდრეი პაველი (6, რუმინეთი) — მალივაი ვაშინგტონი (აშშ) 6:2, 6:1; ჯეისონ სტოლტენბერგი (2, ავსტრალია) — რიჩი რენებერგი (აშშ) 6:4, 6:1; ალექს კალატრავა (ესპანეთი) — სტივ კემპბელი (აშშ) 4:0 — ტრავმა.**

**ნახევარფინალი: სტოლტენბერგი — პაველი 6:2, 6:4; სამპრასი — კალატრავა 7:6 (8:6), 6:3**

დულუტის წვრილფეხა ტურნირის ნახევარფინალში, სადაც სამპრასის გარდა საუკეთესო ორმოცეულიდან კაცი არ ასპარეზობდა, აღსანიშნავი ის მოხდა, რომ მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა მატჩის დაწყებამდე კორტზე დისტანციურად სამართავი სათამაშო მანქანებით რბოლაში მიიღო მონაწილეობა და სახის გამომეტყველებით თუ იმსჯელებ, ფრიად გახარებულიც გახლდათ.

**ფინალი: სამპრასი — სტოლტენბერგი 6:7 (2:7), 6:3, 7:6 (7:4)**

გარეგნობითა და თამაშის სტილით პატრიკ რაფტერის მსგავსმა, მაგრამ სისწრაფით და კლასით დაბლა მდგომმა ოზმა სტოლტენბერგმა წლეულს უკვე მესამე ფინალი წააგო, რაც, მეორეს მხრივ, სამპრასის კარიერაში მესამე სათიხნარო ტიტულის ტოლფასი აღმოჩნდა. „მე მათ სამ წელიწადში ერთხელ ვიგებ“ — ახსნა სამპრასმა, რომელმაც თავისიანთა გასახარად, მესამე სეტის ტაი-ბრეიკი უშეცდომოდ ჩაატარა, თუმცა ხუთი მძიმე მატჩის მოგებისათვის მხოლოდ 45 ათასი დოლარი მიიღო.

**პრაღა. ჩეხეთის ღია პირველობა. ტარდება თიხნარზე.**

**საპრიზო 365 ათასი $**

**ფინალი: ფერნანდო მელიგენი (ბრაზილია) — სლავა დოსედელი (ჩეხეთი) 6:1, 6:4**

პრაღაში ყველა ხეირიანი ჩოგბურთელი, პეტერ კორდას, ევგენი კაფელნიკოვისა და სედრიკ პიოლინის ჩათვლით, პირველ ორ წრეში გავარდა, ჰოდა, უმალლო ქვეყანაში ბრაზილიელმა მელიგენიმ კარიერაში მესამე ტიტული მიითვალა.

**ჰამბურგი. გერმანია. ქალების საერთაშორისო გრან პრი. ტარდება თიხნარზე.**

**საპრიზო 450 ათასი $**

**მეოთხედფინალი: იანა ნოვოტნა (2, ჩეხეთი) — ჯულია აბე (გერმანია) 6:1, 6:3; ბარბარა შეტი (ავსტრია) — ვირხინია რუანო პასკუალი (ესპანეთი) 6:0, 6:0; პატი შნიდერი (5, შვეიცარია) — არანჩა სანჩეს-ვიკარიო (3, ესპანეთი) 6:3, 6:0; მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) — ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) 6:1, 6:3**

ტურნირის მთავარ მოქმედ პირად ჩოგბურთელების ნაცვლად რევოლუციური



**მირიანა ლუჩიჩი**

კონსტრუქციის 10-მილიონ დოლარიანი მოძრავი სახურავი იქცა. ძველი და ახალი ვუნდერკინდების — ჰინგისისა და კაპრიატის შეხვედრისას ორგანიზატორებმა სახურავის გახსნა და მის თავზე დაგროვილი წყლის დაცლა რომ გადაწყვიტეს, მცხუნვარე მზეში ისეთი თავსხმა წამოვიდა, მატჩი 36 წუთით გადაიდო, თუმცა კაპრიატი ვერც ამ „საჩუქარმა“ იხსნა.

**ნახევარფინალი: ნოვოტნა — შნიდერი 2:6, 7:5, 6:3; ჰინგისი — შეტი 6:2, 6:2**

ამჯერად სახურავმა ნოვოტნა — შნიდერის მატჩისას გამოიჩინა თავი — 20 მეტრის სიმაღლიდან მთელი დაგროვილი ნალექი მაყურებლებსა და კორტს დაეცალა თავზე, რამაც ჩეხი სასტიკად განარისხა, თუ თავად არაფერი ესმით, ჩვენ ხელს რად გვიშლიანო.

**ფინალი: ჰინგისი — ნოვოტნა 6:3, 7:5**

როგორ საოცრადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, მარტინა ჰინგისმა ჰამბურგში თავისი ოდენ პირველი ევროპული სათიხნარო ტურნირი მოიგო, ჭირვეულ სახურავს კი ამჯერად არავინ გაუმწარებია.

აწ უკვე მსოფლიოს პირველ და მეორე ჩოგნებს შორის შეხვედრა მაინცდამაინც დიდი დაძაბულობით არ გამოირჩეოდა, რაც ნოვოტნამ მეტოქის დამსახურებად მიიჩნია, როცა შენ უკეთ დაიწყებ თამაშს, მარტინა კიდევ უფრო უმატებს და აბა, რა უნდა მოუხერხოო. ჰინგისმა აქ მითვლილი 79 ათასი დოლარით წლეულს მილიონიან ზღვარს გადააბიჯა.

**ხორვატია. ბოლის ღია პირველობა. ტარდება თიხნარზე.**

**საპრიზო 107 500 $**

**ფინალი: მირიანა ლუჩიჩი (4, ხორვატია) — კორინა მორარიუ (5, აშშ) 6:2, 6:4**

ადრიატიკის ზღვაში მდებარე კუნძულოვან კურორტ ბოლში ისევ შარშანდელი ფინალისტები შეხვდნენ და გამარჯვებული კვლავ 16 წლის მირიანა ლუჩიჩი დარჩა, რომელმაც კარიერაში მეორე ტიტულის მოგება იმითი ახსნა, რაც არ უნდა ძნელი მეტოქეები მყავდეს, აქ წაგება არ შემიძლიაო.

**ავთანდილ სვანიძე**


# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის

ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
**ზურაბ ფოცხვერია**

რედაქტორი
**თამაზ მიგრიაული**

ტექნიკური რედაქტორი
**გურამ ხელაშვილი**

სარედაქციო კოლეგია:
**ილია ბაბუნაშვილი**
**ვახტანგ ბზიკაძე**
**ზურაბ მექვლია**

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კანტალიანი, ონისე შენგელაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
გიო ახვლედიანი, ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე

კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე

კორესპონდენტი ლონდონში
დავით მჭედლიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე

სტილისტები:
მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, მარიკა ტაბიძე, ლევან ჩხეიძე, გია ცარციძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
**გიორგი ოქრომჭედლიძე**

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29